CEE bankwatch network

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები

სახელმძღვანელო

მსოფლიო ბანკი
&
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი

თბილისი, 2000

“არასოდეს დაეჭვდეთ, რომ თავდადებულ მოქალაქეთა ჯგუფს შეუძლია შეცვალოს მსოფლიო”
მარგარეთ მედი

“ძალა არაფერს უწევს ანგარიშს მოთხოვნების გარდა”
ფრედერიკ დუგლასი

წარმოდგენილი სახელმძღვანელო არის პირველი მცდელობა მივაწოდოთ ქართველ მკითხველს ის უზარმაზარი ინფორმაცია და გამოცდილება, რომელიც დაგროვილი აქვს მსოფლიოს არასამთავრობო სექტორს ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. სახელმძღვანელოს მოსამზადებლად მსოფლიო ბანკის ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად ჩვენ გამოვიყენეთ Bank Information Center, CEE Bankwatch Network, 50 Year Enough Campaign, Bread for the World Institute, Breton Woods Project-ის მიერ მომზადებული მასალები.

‘დღესდღეობით მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ემსახურებიან არა თავიანთ წევრ ქვეყნებს, არამედ “გლობალურ ეკონომიკა“-ად წოდებულ იდეოლოგიურ აბსტრაქციას. ლოგიკურად, გლობალურ ეკონომიკურ გაერთიანებას თან ახლავს ეროვნული ეკონომიკის დაშლა, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. ნუთუ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას და მსოფლიო ბანკს სჯერათ, რომ ეკონომიკის ნგრევა შედის მათი წევრი ქვეყნების ინტერესების სფეროში? ვის ინტერესებს წარმოადგენენ ისინი? ჩვენ გვეუბნებიან - “გლობალური ეკონომიკის“ ინტერესებს. რა დგასაამ აბსტრაქციის უკან? ვინ ღებულობს სარგებელს? ტრანსნაციონალური კაპიტალი და არა მუშახელი, მცირე ბიზნესი, ადგილობრივი ფერმერები, გარემო და სხვა. ყოველივე ეს საბაზრო პრინციპების უხეში დარღვევაა, რაც წარმოქმნის დოგმას, რომ განვითარება უნდა მოხდეს ექსპორტის, იაფი მუშა ხელის, საერთაშორისო ვალებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ხარჯზე. იგივე დოგმა უშვებს გარემოს დაცვითი ღირებულებების ექსტერნალიზაციას, რადგან მოსალოდნელი სწრაფი ეკონომიკური ზრდა საშუალებას მოგვცემს გავიღოთ დაბინძურებული გარემოს “გასაწმენდად” საჭირო თანხები. გასაოცარია, რომ ე.წ. გლობალური კაპიტალიზმი უნდა ეფუძნებოდეს გლობალური ბუნებრივი კაპიტალის განადგურებას (ხე-ტყის ჭრა, მეთევზეობა, წიაღისეულის მოპოვება, ჭაბურღილების გათხრა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება), ხოლო შედგომში მისი აღდგენა შესაძლებელი იქნება განვითარებული ეკონომიკით”[1].

[1] “რა პრობლემებია ბრეტონვუდის ინსტიტუტებში” – ჰერმან დეილის მოხსენება “სიღარიბის გლობალიზაცია, 2000 სექტემბერი ჰერმან დეილი – მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი. ერთ-ერთი იმათაგანი ვინც შეეცადა შეეცვალა ბანკის შიდა სტრუქტურა და ექვსწლიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ ის გადადგა თანამდებობიდან.

გლობალიზაცია

გლობალური ეკონომიკა თუ გლობალიზაცია გახდა 20 საუკუნის ბოლოს დისკუსიების მთავარი საგანი. ნეოლიბერალური ეკონომიკური გლობალიზაციის უარყოფითი ზეგავლენის გამო 1999-2000 წლებში ათი ათასობით ადამიანი გამოვიდა დემონსტრაციაზე სიეტლში, დავოსში, ვაშინგტონსა თუ პრაღაში. ნეოლიბერალური ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარ სულისჩამდგემელებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ.

ჩვენ შევედით კაცობრიობის განვითარების ფაზაში, როდესაც "კორპორაციები მართავენ მსოფლიოს", სადაც წამყვანია ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებული განვითარება, რომელიც იგნორირებს სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემებს და ღარიბთა მოთხოვნებს, მსოფლიოში სადაც ბანკის მმართველებს და პროექტის ფინანსურ სპეციალისტებს უფრო მეტი ძალა და უფლება აქვთ ვიდრე ადგილობრივ საზოგადოებებს.

მსოფლიო ბანკი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდ განვითარების ინსტიტუტს, მსოფლიო ბანკს უზარმაზარი გავლენა აქვს მილიონობით ხალხის ცხოვრებაზე, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ცხოვრებაზე. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულმა პროექტებმა მძიმე დაღი დაასვა ადგილობრივ საზოგადოებებს, კიდევ უფრო გააღარიბა მილიონობით ადამიანი, ზიანი მიაყენა გარემოს მსესხებელ ქვეყნებში. სტრუქტურულმა მარეგულირებელმა პროგრამებმა შეამცირეს სამთავრობო დანახარჯი, საშტატო ორგანოები, გააუფასურეს ფულადი სისტემის ნიშნები და დაუკავშირეს განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ბაზარს, ღარიბი ხალხის ინტერესების სრული უგულვებელყოფით. პოსტ - ცივი ომის ეპოქის დაპირებები დემოკრატიული საზოგადოებების შესახებ, სამწუხაროდ დაიჩრდილა მაკროეკონომიკური წესებით, რომელიც შემოღებულ იქნა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. ამ ინსტიტუტებს უფრო მეტი გავლენა აქვთ განვითარებადი ქვეყნების ბიუჯეტებზე და ქმედებებზე, ვიდრე კენჭისყრით არჩეულ მთავრობებს. ამავდროულად ბანკის მიერ მომზადებული პროექტები და პროგრამები განვითარდა მსესხებელი ქვეყნების მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე.

ბანკი იძლევა კრედიტებს "ეკონომიური რაციონალობის" საფუძველზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ ქვეყნების მმართველობა არ არის დემოკრატიული. მაგალითად, 1965 წელს გაეროს რეზოლუციის მიუხედავად მსოფლიო ბანკმა გასცა კრედიტები პორტუგალიასა (იმ კოლონიალური წესრიგისათვის, რომელსაც პორტუგალია ინარჩუნებდა ანგოლასა და ალჟირში) და სამხრეთ აფრიკისათვის (აპარტეიდის გამო). 1970 წლიდან ბანკმა აქტიურად დაიწყო ჩილეს, ურუგვაის, არგენტინის, ფილიპინებისა და რუმინეთის დიქტატორული რეჟიმების დახმარება. აღსანიშნავია ისიც, რომ მაგალითად ინდონეზიას მსოფლიო ბანკმა არ მისცა კრედიტი 1965 წლამდე, რის შედეგადაც ნახევარი მილიონი ადამიანი დაიღუპა. ხოლო მას შემდეგ რაც გენერალი სუხარტო მოვიდა ინდონეზიის სათავეში, ბანკმა მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში 600-700 მლნ აშშ დოლარი მისცა სუხარტოს მთავრობას. 1979 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტების ერთი მესამედი გაცემული იქნა მსოფლიოს 15 დიქტატორულ რეჟიმზე.

დღესდღეისობითაც ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის თუ რამდენად დემოკრატიულია მთავრობები რომელსაც ბანკი ფულს აძლევს. სოციალურად და გარემოსთვის დამღუპველ პროექტთა უდიდესი ნაწილი სწორედ ასეთი რეჟიმების მიერ ხორციელდება და ძალიან ძნელი წარმოსადგენია რომ ხალხს, რომელიც ზარალდება ამ საქმიანობის შედეგად ექნება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რომ არ ვილაპარაკოთ საკუთარი ინტერესების დაცვაზე. ამავდროულად, ასეთ შემთხვევებში ბანკი დიქტატორულ რეჟიმებთან ერთად, ინაწილებს პასუხისმგებლობას ასეთი წინააღმდეგობრივი პროექტების დაფინანსების გამო.

ამავე დროს, ბანკი არა მხოლოდ იძლევა ფულს, იგი აქტიურად მონაწილეობს პროექტის მომზადებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. ბანკისათვის ერთი დიდი გიგანტური პროექტის განხორციელება, რომელიც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, უფრო მარტივია, ვიდრე ათეულობით მცირე პროექტის დეტალებთან ჭიდილი, რაც უფრო მეტ დროსა და თანხებს მოითხოვს.

გასაკვირია ისიც, თუ როგორ აქვს ბანკს წარმოდგენილი ეკონომიური დახმარების დამოუკიდებლობა და, როდესაც ბანკი საკანონმდებლო სისტემის საწიინააღმდეგოდ, ეკონმიურად ეხმარება აღმასრულებელი

მთავრობის ნაწილს, ეს პოლიტიკაში პირდაპირი ჩარევაა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს შემთხვევები იძენს, იმ ქვეყნებში სადაც არ არის დემოკრატიის დიდი გამოცდილება. ბანკის საქმიანობის შედეგად შეიძლება ხელოვნურად გაიზარდოს რომელიმე სააგენტოს ან სამინისტროს როლი, რომლებიც ბანკის მოთხოვნებს ზედმიწევნით ასრულებენ, იმ ორგანოებთან შედარებით რომლებისაც ქვეყნის სხვა ინტერესები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ასე რომ ბანკმა ჩამოაყალიბა პოლიტიკური ინტერვენციის ე.წ. არა-ინტერვენციის მექანიზმი.

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მსესხებელ ქვეყანაში მთავრობა დემოკრატიულადაა არჩეული, მსოფლიო ბანკის საფინანსო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად უგულვებელყოფს დემოკრატიულ პროცესს, რადგანაც ის ძირითადად მჭიდროდაა დაკავშირებული აღმასრულებელ მთავრობასთან. ხოლო აღმასრულებელ მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღებნი სისხორცეულად არიან დაინტერესებულნი პროექტის განხორციელებაში, რადგანაც სწორედ მათ ანგარიშზე ჯდება მსოფლიო ბანკის ფული.

უკვე თხუთმეტი წლის წინ სამოქალაქო მოძრაობამ ეჭვი გამოთქვა, იმის შესახებ, რომ ბანკი უფრო მეტად აზიანებს, ვიდრე იცავს გარემოს, უფრო აღარიბებს მოსახლეობას, ვიდრე ხელს უწყობს სიღარიბის აღმოფხვრას; რომ ბანკი არ არის გამჭვირვალე, პასუხისმგებელი და დემოკრატიული თავის ქმედებაში. არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე დიდი ხანია იბრძვიან დამღუპველი პროექტების შესაჩერებლად და მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეფორმირებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას, გარემოსდაცვითი და სოციალური ქმედებების განხორციელებას.

უდიდესი ნაწილი იმ ფულისა, რომელსაც მსოფლიო ბანკი კრედიტების სახით გასცემს უკან უბრუნდება განვითარებულ ქვეყნებს. პროექტის მომზადების პერიოდში ბანკის სპეციალისტები ცდილობენ უგულვებელყონ ადგილობრივი ექსპერტები და სუბკონტრაქტორები. ამ მხრივ, საერთაშორისო ტენდერები უპირატესობას ანიჭებენ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომელთა მოგება უკან უბრუნდება განვითარებულ ქვეყნებს. რეალურად ტრანსფერი ხდება განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის. განვითარებადმა ქვეყნებმა კრედიტი უნდა აიღონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაფინანსებული პროექტი იძლევა პირდაპირ ან არაპირდაპირ მოგებას მყარ ვალუტაში პროექტის ხარჯების დასაფარავად. თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ შემთხვევათა 78%-ში პროექტთა ფინანსური პირობები არ სრულდება. მსოფლიო ბანკის შესაძლებლობები იაძულოს მსესხებლებს კრედიტის პირობების შესრულება სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია და უფრო მითს გავს ვიდრე რეალობას. ხოლო კერძო ბანკები მსოფლიო ბანკის მსგავს პროექტებს რომ აფინანსებდენ, მყისვე გაკოტრდებოდნენ. ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ კრედიტების 97%-ის დაბრუნება განპირობებულია სხვადასხვა ტიპის საგარანტიო ხელშეკრულებებით, რომლებზეც პასუხისმგებელი საბოლოოდ ქვეყნის მთავრობაა. ამასთან ერთად თუ მთავრობა ექვსი თვით დაიგვიანებს კრედიტის მომსახურებას ბანკი აჩერებს არსებული კრედიტის გადახდას ან ახალი წინადადებების განხილვას. ხოლო ეს ქმნის რთულ სიტუაციას ქვეყნისათვის საერთაშორისო ბაზარზე ნებისმიერი ახალი უცხოური კრედიტის ასაღებად. ამიტომ ყველა მთავრობა ცდილობს გადაიხადოს ვალის მომსახურეობის გადასახადი.

80-იანი წლების ბოლოს, მსოფლიო ბანკის თხუთმეტი უმსხვილესი მოვალე ქვეყანა უფრო მეტს უხდიდა უკან მსოფლიო ბანკს, ვიდრყველა კრედიტი და გრანტი რომელსაც ისინი ღებულობდნენ. მსოფლიო ბანკი, კომერციული ბანკების გარანტირებით, იმავდროულად გახდა ყველაზე მძიმედ დავალიანებული ქვეყნების მთავარი კრედიტორი. გამომდინარე ბანკის სამი AAA რეიტინგიდან (რაც გულისხმობს, რომ ვალი პირველ რიგში უნდა გადაუხადონ მსოფლიო ბანკს), ყოველწლიურად მსოფლიო ბანკი ღებულობს განვითარებადი ქვეყნების მიერ დაბრუნებული ვალების და გადასახადების მომსახურეობის ნახევარზე მეტს. ანუ იმის მაგივრად, რომ ინვესტორი წავიდეს კონკრეტულ ქვეყანაში რისკზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კომერციული ბანკების დაზღვევით ინვესტორების ზარალს აქცევენ ღარიბი ქვეყნების ვალად.

კრედიტი არ არის გრანტი ანუ "ფინანსური დახმარება" არ არის გულმოწყალების აქტი, არამედ თვითდახმარება მათთვის ვინც ამ კრედიტებს გასცემს. ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ეს მომგებიანი ბიზნესია. მსოფლიო ბანკი ინარჩუნებს ფაქტიურად უსასრულო ციკლს. ქვეყანა იღებს ვალს. ვალი იზრდება, იმიტომ რომ ადგილი აქვს პროცენტის ზრდას, გადაცვლის კურსისა და ვაჭრობის პირობების გაუარესებას. შედეგად ქვეყანას უჭირს ვალის გადახდა და ის კვლავ თხოვს დახმარებას მსოფლიო ბანკს ახალი კრედიტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას "მხარდაჭერის იმპორტი" და ძველი გადაუხდელი ვალების ფინანსირება. და ასე უსასრულოდ ანუ ქვეყანა ექცევა მარყუჟში, რომელიც ნელ ნელა სულ უფრო მეტად ეჭირება. ხოლო ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემები მხოლოდ იზრდება.

მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურული რეგულირების პროგრამების შედეგად 80-იანი წლების ბოლოს შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 10%-ით შემცირდა. თვითონ მსოფლიო ბანკის შეფასებით 1990 წელს მსოფლიო მოსახლეობის ერთი მესამედი სიღარიბის ზღვარს

ქვემოთ ცხოვრობდა და ღარიბთა რიცხვი დიდი სისწრაფით იზრდებოდა.

ჩვეულებრივ სტრუქტურული რეგულირების პროგრამის (SAP) შედეგია სამთავრობო ხარჯების შემცირება; ვალუტის დევალვაცია ექსპორტის უფრო დაბალი ფასებით; ვაჭრობის ლიბერალიზაცია; სუბსიდიებისა და ფასებზე კონტროლის მოცილება, სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაცია. ეს პროგრამები დიდი ხანია კრიტიკის საგანია არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

დევალვაცია ნიშნავს ექსპორტის სტიმულირებას, იმის გამო, რომ იგი საექსპორტო ფასებს დაბლა სწევს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია მიმართულია ქვეყნების ფართო ჯგუფისკენ, რომლებიც აწარმოებენ მსგავსი მოხმარების საგნებს, ფაქტია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხელს უწყობს ამ ქვეყნებში უფრო დაბალ ფასებს და წარმოქმნის უფრო მეტ პროდუქციას ბაზარზე, რომელიც ისედაც გაჯერებულია საქონლით. თუმცა, დევალვაცია ასევე ხელს უწყობს უფრო მაღალი საიმპორტო ფასების წარმოქმნას, რაც ხშირად საზიანოა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგანაც იმპორტი არის ეკონომიკის შემადგენელი ფართო ნაწილი.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია საფრთხეში აგდებს სასოფლო სამეურნეო და ადგილობრივი წარმოებას. ბევრი მცირე მწარმოებელი და ფერმერი არ არის მზად მსოფლიო ბაზარზე "თავისუფალი" ვაჭრობისათვის და არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს კარგად სუბსიდირებულ სასოფლო სამეურნეო საქონელს ეუფრო მეტიც, მთავრობის როლის შემცირება ეკონომიურ ცხოვრებაში ნიშნავს, რომ მთავრობა უფრო ნაკლებად ზრუნავს ხალხის და მათი საცხოვრებელი გარემოს დაცვაზე, სწორედ მაშინ როდესაც ეს საჭიროა. მაგალითად, ექსპორტის ზრდა, სამრეწველო საქმიანობის და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, იწვევს სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურებას და ბუნებრივი რესურსების ზეექსპლუატაციას. ხოლო ამის საპირისპიროდ სამთავრობო ხარჯები ჩვეულებრივ მცირდება ჯანმრთელობის, განათლებისა და გარემოს დაცვის სფეროში, და შედეგად მცირდება ამ მომსახურეობების ხელმისაწვდომობა ღარიბი მოსახლეობისათვის.

ამასთან საერთაშორისო ფინანსური ბაზარი მხოლოდ იმ ქვეყნებზე გასცემს კრედიტებს, რომლებიც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მითითებებს ასრულებენ. ქვეყანას, შეუძლია აირჩიოს გაუწოდოს დახმარების ხელი ბრეტონ ვუდის ინსტიტუტებს თუ ჩაიძიროს ფინანსურ კრიზისში და ეკონომიურ იზოლაციაში.

დიდი ხნის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი უარყოფდნენ მრავალმხრივი ვალის არსებობას. ამჟამად ნაწილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკის შედეგად, ამ ინსტიტუტებმა აღიარეს პრობლემის არსებობა. ბანკის განცხადებით 29 ქვეყანისათვის საჭიროა ვალების შემსუბუქება გეგმის შესაბამისად. თუმცა კრიტიკოსები აცხადებენ, რომ უფრო მეტ ქვეყანას ესაჭიროება ვალების შემსუბუქება, ამასთან ეს გეგმები ორიენტირებულია იმაზე, რომ სხვა დონორები (რომელთაც მნიშვნელოვნად ნაკლები კრიტი აქვთ გაცემული) უფრო დაივიწყებენ ვალებს, ვიდრე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. ამავდროულად მძიმედ დავალიანებული ღარიბი ქვეყნებისათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არიან მხოლოდ კრედიტორი, რომელსაც ისინი პერმანენტულად უხდიან გადასახადს (და ასევე ძირითადად მხოლოდ ორგანიზაციები, რომელთაგანაც ისინი ღებულობენ კრედიტებს).

80-იანი წლების დასაწყისში გარემოსდამცველებმა დაიწყეს ყურადღების გამახვილება ბანკის პროექტების გარემოსდაცვით შედეგებზე. 1981 წელს გამოცხადდა, რომ არსებობს სპეციალური გარემოსდაცვითი განყოფილება, რომელიც აფასებს ყველა პროექტს და რომ ამ პროექტების მიმოხილვამ აჩვენა, რომ პროექტებს არა აქვთ უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე და გარემოზე. ამ განყოფილების 3 თანამსრომელი აფასებდა წლიურად დაახლოებით 300 პროექტს, რომელთა საერთო ღირებულება 12 მლრდ.დოლარს შეადგენდა. არასამთავრობო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად 90-იან წლებში ამ განყოფილებაში თანამშრომელთა რაოდენობამ 300-ს მიაღწია.

მსოფლიო ბანკმა აღიარა თავის შეცდომები და 1989 წლიდან აცხადებს, რომ ის არის "გარემოსდაცვითად მდგრადი განვითარების" აპოლოგეტიკი. 1992 წელს გამოჟონილი დოკუმენტის გარშემო უდიდესი სკანდალი ატყდა. დოკუმენის თანახმად მსოფლიო ბანკი აპირებდა "განვითარებად ქვეყნებში დაბინძურების სტატისტიკის შესწორებას: მაღალ დაბინძურებადი ტექნოლოგიების ტრანსფერით "ზე-დაბინძურებული" ჩრდილოეთიდან "დაუბინძურებულ" სამხრეთში". ამავე წელს ბანკის მიერ მომზადა 1800 პროექტის შიდა მიმოხილვა, ბანკისათვის მთავარი პრიორიტეტი არის კრედიტის გაცემა, მიუხედავად პროექტის ხარისხისა.

არასამთავრობო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად Თმსოფლიო ბანკში გაჩნდა ახალი ორგანო " საინსპექციო პანელი" - რომელშიც დაზარალებულ მოსახლეობას შეუძლია აღძრას სარჩელი, ბანკის პროექტების მიერ მიყენებული ზარალის საპასუხოდ. თუმცა საინსპექციო პანელის მუშაობა მოიცავს მხოლოდ IBRD-ის და IDA-ს.

1994 წელი მნიშვნელოვანი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიისათვის. არასამთავრობო

ორგანიზაციები ვერ შეთანხმდნენ საკითხში – მსოფლიო ბანკი უნდა გარდაიქმნას თუ გაუქმდეს, მაგრამ შეთანხმდნენ რომ მსოფლიო ბანკის მსგავსი ინსტიტუტის 50 წლიანი არსებობა სრულიად საკმარისია.

1989-1995 წლებში, 1000-მდე გარემოსდაცვითი გარემოზე ზემოქმედების შეფასება იყო ჩატარებული ბანკის მიერ. თუმცა ამ დოკუმენტების ზეგავლენა პროექტებზე საკმაოდ შეძღუდული იყო. თვითონ მსოფლიო ბანკის მიერ იქნა დასკვნილი, რომ ამ ანგარიშების მომზადება ხშირად პროექტის მომზადებიდან სრულიად იზოლაციაში ხდებოდა, მზადდებოდა ძალიან გვიან პროექტის შესაცვლელად, არ იყო ინტეგრირებული პროექტში ეფექტურად, და არ იხილავდა ალტერნატივებს რომლებიც ნაკლებ ზარალს მიაყენებდა გარემოს.

1995 წელს, საინსპექციო პანელში ნეპალში, არუნ ირი, ჰიდროელექტროსადგურის სარჩელის შემდეგ, ბანკმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ფართო კაშხლების დაფინანსებაზე, რომელიც დიდი რაოდენობით ხალხის გადასახლებასთან არის დაკავშირებული.

ეარასამთავრობო ორგანიზაციათა ოცწლიანი მუშაობის შედეგად, დღეს, მთელი მსოფლიოს მოქალაქეებისთვის უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. ბანკის თანამედროვე პოლიტიკა მოითხოვს პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას, გარემოსდაცვითი ზეგავლენის შემსუბუქებას. α:ყველა ამ ცვლილებებმა მისცეს მოქალაქეებს საშუალება უფრო აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამავდროულად სამოქალაქო საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ თუ რა უფლებები აქვთ მსოფლიო ბანკიში. ამასთან, ბანკმა აღიარა, რომ ეკონომიკური განვითარება ჩასმული უნდა იყოს სოციალურ ჩარჩოში, რაც ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი განვითარების მისაღწევად კარგი მმართველობა და სამართლიანობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც განვითარება. ზოგიერთ საკითხში ბანკი საკმაოდ პროგრესულია, როდესაც ლაპარაკობს სიღარიბის და შიდსის დაავადების აღმოფხვრაზე. თუმცა ბანკის ძირითადი საქმიანობა ჯერ კიდევ შორს არის იდეალურისაგან. პროექტიდან პროექტამდე გვხვდება ათწლეულების წინ დაშვებული შეცდომები. ლოგიკა იგივეა. სტრუქტურული რეგულირების კრედიტები არ არის გამჭვირვალე. მსოფლიო ბანკს ახალი სახე თუ ახალი ფასადი აქვს, მაგრამ საკითხავია გამოიტანა მსოფლიო ბანკმა თავისთვის გაკვეთილი თუ ახალ გარემოში ადაპტირებას ცდილობს, იმისათის რომ საბოლოო ჯამში გააგრძელოს ძველი კურსი.

მსოფლიო ბანკის ოპერაციების საფუძველი კვლავ ნეოლიბერალური ეკონომიკის პარადიგმაა – რომელზეც იქმნება ქვეყნის დახმარების სტრატეგიები და ანალიტიკური მოდელები. ამ პარადიგმის მიხედვით სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებები ექსტერნალურია და დაბალ პრიორიტეტულია ამ მოდელებისათვის. სანამ ბანკის "რელიგია" არ შეიცვლება, ორთოდოქსული ნეოკლასიკური ეკონომიკის რეფორმირება არ მოხდება, შეუძლებელია მსოფლიო ბანკში მიმდინარე რეფორმების შეფასება.

<u>*ისტორია და სტრუქტურა*</u>

1944 წელს 45 ქვეყნის დელეგაცია შეიკრიბა ამერიკის შეერთებული შტატების პატარა ქალაქ ბრეტონ ვუდში, ნიუ ჰემპშირში, რათა გადაეწყვიტათ როგორ უნდა იქნას აცილებული თავიდან ოციანი და ოცდაათიანი წლების ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები მომავალში. გადაწყდა, სტაბილური სავალუტო სისტემის უზრუნველსაყოფად დარსებულიყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF). ხოლო ახლად დაარსებულმა მსოფლიო ბანკმა თავის თავზე აიღო ომის შემდგომ ევროპის რეკონსტრუქცია. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარშალის დახმარებამ გრანტებით უზრუნველყო ევროპაში საკმარისი რაოდენობით კაპიტალის დინება, ბანკმა ფოკუსირება დაიწყო სამხრეთის განვითარებად ქვეყნებზე. ე

მსოფლიო ბანკის მთავარი მიზანი ყოველთვის ეკონომიური და სოციალური პროგრესის მხარდაჭერა იყო. ბანკის წესდების თანახმად მან აიღო ვალდებულება შეემცირებინა სიღარიბე და ხელი შეეწყო მდგრადი განვითარებისათვის.

ბანკს აქვს სამი მთავარი ფუნქცია: პირველი - პროექტებისა და პროგრამების კრედიტებით უზრუნველყოფა, მეორე - რჩევების მიცემა და მონაცემთა შეგროვება, მესამე - განვითარებად ქვეყნებში კატალიზატორის როლს შესრულება, კერძო ინვესტიციების სტიმულირებისათვის.

იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს ბანკის წევრი უპირველეს ყოვლისა ის უნდა იყოს სავალუტო ფონდის წევრი. საწევროს ოდენობის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის როლი და წონა ბანკში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საწევრო გადასახადზე დაყრდნობით ქვეყნები იყოფიან დონორ და მიმღებ ქვეყნებად.

მსოფლიო ბანკის მმართველთა საბჭო თეორიულად მართავს ბანკს, რომელშიც ყველა წევრ ქვეყანას ჰყავს თავისი მმართველი (ძირითადად ფინანსთა მინისტრი ან ცენტრალური ბანკის თავჯდომარე). ხოლო პრაქტიკულად, მმართველთა საბჭო ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს აშშ-

ს მოქალაქე. მმართველთა საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ, ხოლო ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო, რომელიც 24 დირექტორისაგან შედგება.

წესდების თანახმად ხუთ ყველაზე მსხვილ აქციათა მფლობელებს აშშ-ს, გერმანიას, იაპონიას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ჰყავს თავისი აღმასრულებელი დირექტორი. 19 დირექტორი ირჩევა დანარჩენი ქვეყნების მიერ. ხმების რაოდენობა დამოკიდებულია ფინანსურ შენატანებზე ანუ რაც უფრო მეტია ფინანსური შენატანი მით მეტი ხმა აქვს ქვეყანას.

თავისი არსებობის განმავლობაში, მსოფლიო ბანკის ჯგუფში ჩამოყალიბდა დაფინასების ოთხი სხვადასხვა ინსტიტუტი (იხ. სურათი 1.).

ბანკი როგორც ანალიტიკური ინსტიტუტი

მსოფლიო ბანკი წლიურად დაახლოებით 30 მლრდ აშშ დოლარის კრედიტებს გასცემს განვითსარებადი ქვეყნის მთავრობებისა და კერძო სექტორისათვის. მაგრამ ამავდროულად ბანკი, როგორც ანალიტიკური ინსტიტუტი ამზადებს ანალიზებს, იძლევა რეკომენდაციებსა და რჩევებსმ, რომელსაც უდიდესი გავლენა ქვს მსესხებელი ქვეყნების ცხოვრებაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეგიონალურ ბანკებთან და ექსპორტ-კრედიტ სააგენტოები მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს ექსპორტზე ორიენტირებული ბაზრის განვითარებას როგორ მთავრ რეცეპტს ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირებისათვის.

თუ ტრადიციულად, მსოფლიო ბანკი კრედიტებს აძლევდა მთავრობებს ენერგეტიკის სექტორის, ტრანსპორტის, განათლების თუ სხვასფეროებისათვის. უკანასკნელ წლებში მსოფლიო ბანკი აღიარებს კერძო სექტორს განვითარების ძირითად საყრდენად და კორპორაციული განვითარება იქცა მის მთავაე პრიორიტეტად.

თუმცა ბანკი რეგულარულად აცხადებს, რომ სიღარიბესთან ბრძოლა ეს მისი პრიორიტეტი და ვალდებულებაა, სულ უფრო და უფრო მეტი ბანკის რესურსებისა ხმარდება ტრანსნაციონალური კორპორაციების პროექტებს განვითარებად ქვეყნებში. მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით წარმატებით იხსნება კოკაკოლას, ექსონ-მობილის, შევრონის და ბრიტიშ პეტროლეუმ ამოკოს ახალი ოფისები, ინტერ-კონტინენტალის ოთხი და ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმროები განვითარებად ქვეყნებში, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ეხსნებათ გზა იაფი მუშახელის და ბუნებრივი რესურსების ბაზრისაკენ, ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას, ეროვნული ვალურის დევალუაციას, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას, ეროვნულ ბიუჯეტებში ბალანსის დამყარებას სახელმწიფო ხარჯების შემცირებით.

და ჩნდება კითხვა, თუ არის თუ არა რეალურად კარგი კორპორაციებში ინვესტიციების ჩადება, თუ არსებობს უფრო ოპტიმალური გამოყენება საზოგადოებრივი თანხების სიღარიბის აღმოფხვრისა და გარემოს შესანარჩუნებლად.

მსოფლიო ბანკის ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტი - ქვეყნის დახმარების სტრატეგია (CAS)

ქვეყნის დახმარების სტრატეგია (CAS) არის მსოფლიო ბანკის 'სამოქმედო გეგმა" თითოეული მსესხებელი ქვეყნისათვის. CAS-s აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან იგი მართავს მსოფლიო ბანკის ჯგუფის მთლიან ბიზნეს გეგმას და ქვეყანაში საკრედიტო ოპერაციებს. 1995 წლამდე მსოფლიო ბანკის ჯგუფები ერთმანეთისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ამჟამად კი მსოფლიო ბანკმა დაიწყო CAS-ის მომზადება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად.

მსოფლიო ბანკი ამზადებს CAS-ს 180 აქტიური მსესხებელისათვის ერთიდან სამ წლამდე. დოკუმენტი მოიცავს ბანკის მიერ გათვალისწინებულ ყველა ოპერაციას დროის ამ მონაკვეთში – ოპერაციებს ეკონომიკური პოლიტიკების რეფორმისათვის, პროექტების შესრულებისათვის და ტექნიკური ანალიზების[1] მომზადებისათვის.

CAS ბანკის სტრატეგიული სამოქმედო გეგმაა, რომელსაც იგი იყენებს:

- ქვეყანაში ბანკის ოპერაციების უზრუნველსაყოფად: ინვესტიციის ფინანსური რისკის საგარანტიოდ, ქვეყნის პრიორიტეტების გამოსავლენად, სხვა დონორებისა და კრედიტორების მოსაზიდად.
- ანალიტიკური სამუშაოსა და საკრედიტო ოპერაციების განსაზღვრისათვის, რომლებიც დაგეგმილია CAS-ის დროის მონაკვეთში;
- ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაციების მდგომარეობისა და ხარისხის აღწერისათვის. ქვეყანაში ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა საკრედიტო ოპერაციების კრებულს ეწოდება საკრედიტო 'პორტფელი"

CAS-ის მიზანია ეკონომიკის გაჯანსაღება და ის ოთხ ეტაპად იყოფა: **1.** დიაგნოზის დასმა, რაც მოიცავს ქვეყნის ეკონომიკისა და სექტორალური სამუშაოების ანალიზს, 2. მკურნალობის დანიშვნა - ქვეყნის დახმარების სტრატეგიის შემუშავება 3. მკურნალობა - დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება და 4. შეფასება - ქვეყნის დახმარების სტრატეგიის შედეგების განხილვა. საბოლოო ჯამში, CAS განსაზღვრულია მსესხებელ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხელის შეწყობისათვის და სიღარიბის შესამცირებლად.

<u>სტადია 1. დიაგნისტიკა: ESW</u>

ბანკის მიერ მზადდება ანალიტიკურ 'ეკონომიკური და სექტორალურ სამუშაო" (ESW), ბანკის ძირითადი დიაგნოსტიკური საშუალება. ბანკი ზოგჯერ იწვევს მონაწილეებს მსესხებელი წვეყნის მთავრობებიდან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან ამ ანალიზების მომზადებისათვის. დოკუმენტი შედგება შემდეგი ქვედოკუმენტებისაგან:

- ქვეყნის ეკონომიკის მემორენდუმი - ეკონომიკისა და ეკონომიური პოლიტიკების სიძლიერეები და სისუსტეები
- სახელმწიფოს ხარჯების განხილვა - მთავრობის მენეჯმენტისა და საფინანსო ბიუჯეტის სიძლიერეები და სისუსტეები
- სექტორალური განხილვები - სექტორალური (მაგ. სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ენერგეტიკა) პოლიტიკის მენეჯმენტის სიძლიერეები და სისუსტეები
- სიღარიბის შეფასება- მდგომარეობა, სიღარიბის მიზეზები და დონე
- კერძო სექტორის შეფასება- ეკონომიკური პოლიტიკა რამდენად ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას
- ეროვნული გარემოსდაცვის გეგმა - ძირითადი გარემოსდაცვითი პრობლემები, მთავრობის უნარი მათ მხარდასაჭერად და მთავარი ქმედებები, რომლებიც საჭიროა სრულყოფისათვის

<u>სტადია 2. მკურნალობის დანიშვნა: CAS</u>

ყველა ქვეყნისათვის **CAS** განსაზღვრავს სესხის მიცემის "ძირითადი შემთხვევის", "ნაკლებად მნიშვნელოვანი" და "მნიშვნელოვანი ხარისხის" სცენარს ანუ დონეს. ბანკი წყვიტავს თუ რომელი სცენარი შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიური ზრდის შესაძლებლობებს და სამთავრობო ვალდებულებებს. მთავრობები რომლებიც ასრულებენ დადგენილ პირობებს შეინარჩუნებენ ან აამაღლებენ სესხების დონეს. როდესაც მთავრობა არ ან ვერ ასრულებს პირობებს საკრედიტო რესურსების ტრანსფეროი წყდება. ბანკი ძირითადა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და მხოლოდ ზოგჯერ მიიღება მხედველობაში მსესხებელი ქვეყნის მთავრობების პრიორიტეტები. ამჟამად ბანკი ცდილობს შეცვალოს ოპერაციის ეს სახე და გახდეს უფრო პასუხისმგებელი მსესხებელი ქვეყნების პრიორიტეტების მიმართ. CAS არ არის მოლაპარაკების საგანი ბანკსა და მთავრობას შორის, თუმცა სპეციფიური ოპერაციების შეთანხმება ხდება.. ზოგჯერ მსესხებელ მთავრობას არ მოსწონს ან არ ეთანხმება იმ ანალიზებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ჩამოთვლილია CAS-ში. ასეთ შემთხვევებში CAS მხარს უჭერს ამ განსხვავებების აღწერას.

კრედიტის შეზღუდვები. ბანკის ძალაუფლება გამოიხატება სამთავრობო კრედიტების მაქსიმუმის გაზრდით ან შემცირებით. ბანკს შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს კრედიტის შეზღუდვა, რაც დამოკიდებულია თუ როგორ ასრულებს თქვენი ქვეყნის მთავრობა იმ ძირითად რეფორმებს, რომლებსაც მოითხოვს მსოფლიო ბანკი. ამ რეფორმებს ეწოდებათ 'პირობები".

პირობები. პირობები ანალოგიურია კრედიტის პირობებისა. ეს არის მეგა-პირობები, რომლებიც ესადაგება მთელ პორტფელს. მთავრობებს, რომლებიც ასრულებენ პირობებს, შეუძლიათ მიაღწიონ კრედიტის ლიმიტის გაზრდას. თუ ქვეყნის მთავრობა არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) აქტიური მსესხებელი, მაშინ მსოფლიო ბანკის პირობები ხშირად ემთხვევა IMF-ის მოთხოვნებს. თუ მთავრობა ეთანხმება სესხის პირობებს მას უზრუნველყოფილი აქვს კრედიტის მომდევნო ნაწილის ტრანსფერი.

მსესხებელი მთავრობის ორი ტიპი: ყველა კლიენტი ან მსესხებელი მთავრობები არ არიან ერთნაირები. ზოგს აქვს უფრო მეტი ძალა-უფლება ბანკთან მიმართებაში, ვიდრე სხვებს. ძირითადად მთავრობის ძალაუფლების დონე პირდაპირპროპორციულია საკუთარი კრედიტუნარიანობისა. ეს ნიშნავს, რომ კრედიტუნარიან მთავრობებს აქვთ უფრო მეტი ძალაუფლება, რადგან თუ ბანკის სესხების ვადა არ იქნება მოსახერხებელი მათთვის, ისინი სესხს აიღებენ სხვა კრედიტორისაგან. მეორეს მხრივ, რომ ნაკლებკრედიტუნარიანი მთავრობები დამოკიდებულნი არიან ბანკზე და ხშირად ნაკლები ძალაუფლება

დაკავშირებულია ბანკთან. დაბალკრედიტუნარიან მთავრობებზე გათვალისწინებულია შეღავათები საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ. საშუალო შემოსავალი ამ კატეგორიის ქვეყნებისათვის არის 360 დოლარი ერთ მოსახლეზე წელიწადში.

<u>სტადია 3. ოპერაციები</u>

CAS-ი სთავაზობს სამი ტიპის ოპერაციას, რომლებიც სრულდება ქვეყნის მიერ და ფინანსდება ბანკის მიერ CAS-ის მოქმედების პერიოდში (1-დან 5 წლამდე, დამოკიდებულია ქვეყანაზე):

1. *ეკონომიკური რეფორმა ან რეგულირების პროგრამები.* სტრუქტურული რეგულირების პროგრამები (SAPs) განსაზღვრავენ გარემოსდაცვით მაკროეკონომიკურ პოლიტიკას; სოციალური რეგულირების პროგრამები (ჟCALs) განსაზღვრავენ პოლიტიკურ გარემოსდაცვას სექტორისა (მაგ: ჯანდაცვა, განათლება, მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა)
2. *პროექტის ინვესტიციები.* პროექტების განხორციელების შედეგად ხშირად შენდება შემდეგი ობიექტები: კაშხალები, საირიგაციო სისტემები, სკოლები, ელექტრო სადგურები, საავადმყოფოები და ა.შ.)
3. *კვლევა და ანალიზები.* CAS-ი განსაზღვრავს თუ რომელი ეკონომიკური და სექტორალური სამუშაო შესრულდება CAS-ის მოქმედების პერიოდში, რეგულირების პროგრამებისა და პროექტის ინვესტიციების ჩათვლით.

ის ოპერაციები, რომლებიც განსაზღვრულია CAS-ში წარდმაოდგენს მსოფლიო ბანკის პორტფელს ქვეყანაში.

<u>სტადია 4 შეფასება</u>

ბანკის მთელი კრედიტების პორტფელის დაახლოებით 1/3 არადამაკმაყოფილებლად შესრულდა. ამიტომ ბანკი ყურადღებით შეისწავლის თითოეული სესხის ამღები ქვეყნის პორტფელის მენეჯმენტს. კრედიტების ხელმისაწვდომობა იზრდება კარგი შესრულებისათვის და კლებულობს ცუდად შესრულებისას. შეფასების გარდა თითოეული მსესხებელი ქვეყნის პორტფელის ხარისხისათვის, ბანკი იყენებს CAS-ის პროცესს პორტფელის სიჯანსაღის შესამოწმებლად: რეგულირების პროგრამებისა და ინვესტიციების პროგრამებისათვის თითოეულ სექტორში. ქვეყნის საკრედიტო პორტფელის შეფასებისათვის მხედველოვაშია მისაღები სამი ფაქტორი: მსესხებლისა და ბანკის ოპერაციების შესრულების ხარისხი და გარე სამყარო. ეს სამი ფაქტორი დაკავშირებულია ერთმანეთთან.

ქვეყნის მიერ შესრულებული ოპერაციის შეფასება

თითოეული ქვეყნისათვის, ბანკი პერიოდულად ამზადებს ქვეყნის პორტფელის შეფასებას (CPA), რომალიც შეფასებას უკეთებს პოტრფელის ხარისხს და ქვეყნის პორტფელის შესრულების განხილვას (CPPR), რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის პორტფელის მენეჯმენტის სიძლიერეს ან სისუსტეს. სხვა საკითხებთან ერთად, ეს დოკუმენტები ფოკუსირებას აკეთებენ ქვეყნის მიერ ოპერაციის შესრულებას ორ ასპექტში: განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობა და შეუსაბამობა და პორტფელის მართვის ეფექტურობა.

მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება მთავრობის მიერ შესრულებული ოპერაციის შეფასებისათვის, მოიცავენ: ა) მაკროეკონომიკურ პოლიტიკას; ბ) ბიუჯეტის მართვას; გ) სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის ტემპებს; დ) გადახდის ან მისი დარღვევის შესაბამისობას გრაფიკთან და ე) მოვალეობას, რომ ინვესტიციები შეიტანონ ჯანმრთელობისა და განათლების სფეროებში და უზრუნველყონ უსაფრთხოება იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც დაზარალებულნი არიან რეგულირების პროგრამებით.

ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციების შეფასება

ბანკის შიდა ოპერაციების შეფასების დეპარტამენტი შეფასებას უკეთებს ბანკის ქმედებებს თითოეულ ქვეყანაში. ქვეყნის კრედიტის პორტფელებისათვის მზადდება ქვეყნის დახმარების განხილვა (CAR) და ეგზავნება ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. მსოფლიო ბანკის კრედიტების შეფასებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა დაკავშირებულია პორთფელის შესრულებასთან.

ბანკის პრიორიტეტები CAS-ში

ბანკი აფინანსებს პოლიტიკისა და საპროექტო ოპერაციებს და CAS-ი განსაზღვრავს ბანკის პრიორიტეტულ სფეროებს. ბანკის პრიორიტეტები ფასდება 'სტრატეგიული არჩევის" პროცესში, რაც ნიშნავს სამი კრიტერიუმის გამოყენებას პრიორიტეტული სესხისათვის: ზემოქმედების მასშტაბს, რაც გამოიხატება ქმედებების მნიშვნელოვანებაში და მის პოტენციურ ზემოქმედებაში ეკონომიკაზე და სიღარიბის შემცირებაზე; 'ალბათობას", რომ ოპერაციების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქვეყნებს

მიეცემათ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები; და ‘ ბანკის წვლილის დამატებითობა“, რის შედეგადაც ფასდება ბანკის წვლილი და მისი მონაწილეობის უპირატესობას სხვა ‘პარტნიორებთან“ შედარებით.

CAS-ის ახალი როლი

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მოლაპარაკებების 1998 წლის მე-12 რაუნდი, დამთავრდა შეთანხმებით, რომელიც გულისხმობს CAS-ის უფრო გაზრდილ როლს. CAS უნდა მოიცავდეს: ეროვნულ და გლობალურ გარემოსდაცვით განხილვებს; განახლებადი ენერგიის დაფინანსებას; სისტემატურ კვლევას მართვის საკითხებისა, რომლებიც “ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე და განვითარების ეფექტურობაზე“; გენდერს; შრომის სტანდარტებს; საგანმანათლებლო სექტორის სტანდარტებს და სხვა საკითხებს.

საზოგადოების ხელმისაწვდომობა CAS-ისადმი

მსოფლიო ბანკის ახალი პოლიტიკის თანახმად 1999 წლის ივლისიდან CAS ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის, თუმცა ინფორმაცია გავრცელება უნდა რეგულირდებოდეს მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად. 1998 წლის პოლიტიკურმა ცვლილებამ ხელმისაწვდომი გახადა ორი ტიპის დოკუმენტი, მაგრამ მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით:

1. CAS-ის საზოგადოებრივი ინფორმაციის შენიშვნა (CPIN): ეს არის ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური მდგომარეობის ძირითადი ელემენტების, მისი განვითარების დღის წესრიგის და ბანკის სტრატეგიის მოკლე შინაარსი (2 გვერდი). CPIN გახდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათის თუ მთავრობა დაეთანხმება მის გამჭვირვალობას. მთავრობის თანხმობისა და საბჭოს განხილვის შემდეგ CAS-ი მოთავსდება ინტერნეტ გვერდზე.
2. CAS-ის ან CAS-ის პროგრემის ანგარიში: ქვეყნის აქტუალური დახმარების სტრტეგია მთავრობის მოთხოვნით შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის საბჭო განხილვის შემდეგ. დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ბანკის ინტერნეტ გვედზე, ხოლო საქაღალდო ვერსია ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.

სამოქალაქო საზოგადოების როლი

1997 წლის ივლისიდან 1999 წლის იანვრამდე მსოფლიო ბანკმა მოამზადა 47 CAS-ი. ამ 47 CAS-დან მხოლოდ 20%-ს ჰქონდა ‘საბჭოსა და სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაციები“, 32%-ს ‘მნიშვნელოვანი სამოქაქლაქო საზოგადოების კონსულტაციები“ და 48%-ს კი არ ჰქონდა არც მნიშვნელოვანი კონსულტაციები და არც მონაცემები მათზე. აქ არ არის საერთოდ ლაპარაკი კონსულტაციების ხარისხზე. რეალურად, გამოცდილება ჩაშ მომზადებაში საზოგადოებრივი კონსულტაციების ჩატარებაზე საკმაოდ წინაამღდეგობრივია. ერთაერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ CAS სამუშაო ვარიანტი იშვიათად არის ხელმისაწვდომი კონსულტაციებისათვის. სხვა პრობლემებია ინფორმაციის დეფიციტი საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ, სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლების ნაკლებობა და პროცესის პრო-ფორმალურობა, რომელიც არ იძლევა დიალოგის უფლებას არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრომასა და ბანკს შორის, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების შესახებ.

პრობლემები წარმოიქმნება იმავდროულად ფაქტიდანაც, რომ ზოგიერთი მთავრობა თვლის, რომ იზღუდება მათი ავტორიტეტი და დემოკრატიული პროცესები, რადგან მსოფლიო ბანკი კონსულტაციებს ატარებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან ‘მათ ზურგს უკან“. უფრო მეტად ავტორიტარული სახელმწიფოების მთავრობები უბრალოდ აღშფოთებულნი არიან მსოფლიო ბანკისა და მოქალაქეების ურთიერთქმედებებით. ზოგიერთ შემთხვევაში, იქ სადაც ჩატარდა კონსულტაციები, ბანკმა და მთავრობამ ხელმისაწვდომი გახადეს CAS-ი და მოითხოვეს კომენტარები მსესხებელი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისაგან. დანარჩენ შემთხვევებში ბანკმა ‘კონსულტაციები“ ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონფიდენციალური დოკუმენტების შესახებ, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას თვალით არ უნახავს.

საბედნიეროდ, ბანკმა დაიწყო გაცნობიერება, რომ მას არ შეუძლია მარტომ განსაზღვროს განვითარების სტრატეგიები. საკუთარი შიდა შესწავლის შედეგად ბანკმა აღმოაჩინა, რომ თუ მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოებები მხარს არ უჭერენ ბანკის მიერ დაფინანსებულ ოპერაციებს, ისინი ხშირად წარუმატებლობან განიცდიან. IDA-12-ის შეთანხმებამ ხაზი გაუსვა ‘სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის“ აუცილებლობას ჩAS-ის პროცესში, ისევე, როგორც მთავრობის მხრიდან საკუთრების უფლების გამოვლინებას.

CAS-ის მომზადების პროცესში საკუთარი როლის ამაღლებისათვის, მთავრობის წარმომადგენლებს შეუძლიათ თვითონ ხელმძღვანელობდნენ კონსულტაციების ჩატარებას. მთავრობებს ასევე შეუძლიათ მოქალაქეებს მოთხოვონ მონაწილეობა მიიღონ ეროვნული განვითარების სტრატეგიის შედგენაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით მოთხოვონ დონორებსა და კრედიტორებს დააფინანსონ

პრიორიტეტული ოპერაციები. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ავტორიტეტული ხელისუფლებაა, ბანკის კონსულტაციებს ზოგჯერ შეუძლიათ შექმნან 'პოლიტიკური სივრცე" მოქალაქეებისათვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ განვითარების პროცესში.

მსოფლიო ბანკის კრედიტები და სესხები

მსოფლიო ბანკის დაარსების შესახებ ხელშეკრულებაში, ნათქვამია რომ ბანკი არსდება როგორც ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მიზანია სესხის ამღები ქვეყნების რეკონსტრუქცია და განვითარება, სიღარიბის შემცირება, უცხოური ინვესტიციების და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა, გადასახადების ბალანსის შენარჩუნება კრედიტებისა და სესხების უზრუნველყოფით. მსოფლიო ბანკის კაპიტალის საფუძველს წარმოადგენს საწევრო შენატანები. ქვეყნები იხდიან მხოლოდ საწევროს 5-7%-ს, რომელიც აისახება ე.წ. "გადახდილ" კაპიტალში. საწევროს გადაუხდელი ნაწილია ე.წ. "გამოსასყიდი კაპიტალი", რომელიც წარმოადგენს სარეზერვო ფონდს იმ შემთხვევებისათვის როდესაც ბანკის კრედიტორები გადახდის უუნარონი აღმოჩდებიან. ვინაიდან ასეთი რამ არასდროს არ მომხდარა ბანკის რეიტინგი ძალიან მაღალია. მსოფლიო ბანკი არის ე.წ. "სამმაგი ა რეტინგის" ბანკი, რაც საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე კონფიდენციალურობის უმაღლესს ხარისხს ნიშნავს. ამავდროულად, ბანკის კრედიტუნარიანობა დაცულია შეთანხმებით, რომლის თანახმადაც გაცემული კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდილი კაპიტალისა და რესურსების საერთო ჯამს. ბანკი 1947 წლიდან ფუნქციონირებს და აქვს ყოველწლიური მოგება. ეს აძლევს ბანკს საშუალებას მომგებიანად ისესხოს თანხა საერთაშორისო ბაზრიდან და გასცეს კრედიტები სესხის ამღები ქვეყნებისათვის საბაზრო ღირებულების ქვემოთ. ბანკის მოგება გამოიყენება IDA-ს კრედიტირებისათვის.

კრედიტის ტიპები

ყოველწლიურად მსოფლიო ბანკი IBRD-ის და IDA-ს საშუალებით 25-30 მლრდ დოლარზე მეტი ოდენობის კრედიტს გასცემს.

- **სტრუქტურული რეგულირების კრედიტი**
  სტრუქტურული რეგულირების კრედიტები წარმოადგენს პროგრამულ სესხს, რომლის მიზანია მოვახდინოთ მთელი ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია ნეოლიბერალური მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად. ამ კრედიტებს აქვთ მკაცრი პირობები რათა უზრუნველყოს ქვეყანაში ხანგრძლივ დროიანი ეკონომიური სტაბილიზაციის მისაღწევად სტრუქტურული რეფორმების განხორციელება. ეს პროგრამები ხორციელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მჭიდრო კოორდინაციაში.ბანკი და ფონდი ერთობლივად აყალიბებენ პირობებს ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებით, ქვეყნის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს სამ წლიან გეგმას.
- **სექტორალური რეგულირების კრედიტი**
  ეს კრედიტები განკუთვნილია ქვეყნის სპეციფიური ეკონომიური სექტორების რესტრუქტურიზაციისათვის, რომელთა სედეგად ადგილი აქვს სექტორის სრულ რესტრუქტურიზაციას და პოლიტიკურ ცვლილებებს, მაგალითად ხელს უწყობს ცვლილებებს კანონმდებლობაში , სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციას და სახელმწიფო სექტორის რეფორმას. ტიპიური სეტორალური კრედიტები გაიცემა სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციაში და ტრანსპორტში.
- **საინვესტიციო კრედიტები**
  საინვესტიციო კრედიტების მიზანია სიღარიბის შემცირება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ეს კრედიტები შეიძლება იყოს სპეციფიური (კონკრეყული პროექტების შესასრულებლად, როგორიცაა ინფრასტრუქტურულიკაშხლები, პორტები, ავტომაგისტრალები და სხვა, სასოფლო სამეურნეო და სოციალური სექტორების განვითარება) ან სექტორალური, რომლის მიზანია სპეციფიური ეკონომიური სექტორში ეკონომიური პრიორიტეტის თვალსაზრისით,)არსებული ინვესტიციების რეაბილიტაცია ნა ხელშეწყობა).
- **ტექნიკური დახმარების კრედიტი**
  ტექნიკური დახმარების კრედიტის მიზანია სამთავრობო სააგენტოების შესაძლებლობების ზრდა და ინსტიტუციონალური განვითარება სექტორის ან ეკონომიკის ფართო საინვესტიციო პოლიტიკის ან სტრატეგიის წარსამართავად. ეს კრედიტი გამოიყოფა ამ პროექტის კრედიტის ფარგლებში ან

ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის გრანტების ხაზით, რომელიც ყოველწლიურად 25 მლნ აშშ დოლარის გრანტებს გასცემს ამ მიზნით.

- **სასწავლო და საინოვაციო კრედიტები**
  ეს არის ახალი, შედარებით მცირე კრედიტები (5 მლნ აშშ დოლარზე ნაკლები) რაც აძლევს ბანკს საშუალებას ადგილობრივი ინიციატივების ან სოციალური შეფასების განხორციელებას, ადგილობრივ სააგენტოებს ან სხვა დონორებთან.
- **საადაპტაციო პროგრამების კრედიტი**
  ამ სახის კრედიტები განსაზღვრულია ხანგრძლივ დროიანი განვითარების პროგრამების დასაფინანსებლად ოპერაციების სერიის სახით. დაფინანსების სრული გამოყოფა ხდება იმისდა მიხედვით თუ რამდენად წარმატებულად განხორციელდა წინა ოპერაციები. ოპერაციების შესაფასებლად იყენებენ წინასწარ შეთანხმებულ კრიტერიუმებს, ინდიკატორებს, პერიოდულ განხილვებს და თვითოეული ოპერაციის შემდეგ შეფასებას თუ რამდენად თვალნათელი არსებული პროგრესი.
- **სასწრაფო რეკონსტრუქციის კრედიტები**

ბანკის საოპერაციო პოლიტიკა 8.50-ში ნათქვამია , რომ "ქვეყანამ შეიძლება სთხოვოს დახმარება ბანკს, როდესაც აქვს სერიოზული პრობლემები ეკონომიკაში, რაც მოითხოვოს სწრაფ პასუხს მთავრობისა და ბანკისაგან." ასეთი კრედიტები გააიცემა სწარაფად და შეიზლება გამოყენებულ იქნას გადასახადების ბალანსისათვის, პირველი მოთხოვნილების საიმპორტო პროდუქციის შესაძენად, აქტივების აღსადგენად პირობების გარეშე. საოპერაციო პოლიტიკით საგანგებო სიტუაციაა " დროში შეზღუდული ექსტრაორდინალური მოვლენა, როგორიცაა ომი, სამოქალაქო აღელვება ან ბუნებრივი კატაკლიზმები".

- **სესხი და სესხის მომსახურეობის შემცირების კრედიტი**
  მძიმედ დავალიანებული ქვეყნებისათვის, რომლებიც კარგად ასრულებს სტრუქტურული რეგულირების კრიტერიუმებს, ბანკს შეუძლია გასცეს ასეთი ტიპის კრედიტი ვალების შესამცირებლად.

- **ფინანსური შუალედური კრედიტები**
  ბანკი გასცემს კრედიტებს ეროვნული ან ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისატვის, რომელბიც თავის მხრივ აფიანსებენ კერძო საწარმოებს ან ადგილობრივ მთავრობებს კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად.

- **გარანტიები**

კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვისათვის და შეამციროს რისკი, ბანკი უზრუნველყოფს გარანტიებს კერძო და სახელმწიფო სექტორის ოპერაციებს. ბანკი ახდენს ოპერაციებს გარანტირებას როდესაც IFC და MIGA ოპერაციები არ არის საკმარისი ფინანსირების კატალიზატორობისათვის.

რას ნიშნავს პირობითობა?

<u>მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა</u>

1980 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულია სოპერაციო პოლიტიკები. ხოლო სულ ახლახან ბანკმა თავისი 10 გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა გააერთიანა 'უსაფრთხოების პოლიტიკის" კატეგორიაში, რომელიც განსაზღვრულია ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაციების ნეგატიური ზემოქმედებისაგან გარემოს დაცვითი მიზნებისათვის და დაზარალებული მოსახლეობის დასაცავად. (იხ.ცხრილი II). ბანკის პოლიტიკის შესრულებაზე პასუხისმგებელია ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო და მსოფლიო ბანკის ექვსი რეგიონალური ვიცე პრეზიდენტი, რათა უზრუნველყონ ამ პოლიტიკის შესრულება ბანკის შტატისა და მსესხებელი მთავრობების მიერ.

ამჟამად ბანკში მიმდინარეობს მისი ყველა 400 პოლიტიკური დოკუმენტის კონვერტირების ერთ ფორმატში, რის შედეგადაც მოსალოდნელია 60 ან 70-მდე პოლიტიკის მიღება. სამწუხაროდ, ფორმულირებების შეცვლამ და ადრე სავალდებულო მოთხოვნების გადაყვანამ არასავალდებულო "კარგი მაგალიტების" ჯგუფში შეასუსტა ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა. გადაყვანის პროცესის დასრულებამდე არასამთვრობო ორგანიზაციებმა განიხილეს რამოდენიმე პოლიტიკა, რომელთა გადაყვანაც დასრულდა და აღმოაჩინეს, რომ რეფორმირებული ვერსიები ამცირებენ ბანკის პასუხისმგებლობას პროექტებს განხორციელების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მიმართ.

ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია **სამოქმედო დირექტივები,** ბანკის პოლიტიკური დოკუმენტები, რომლის შესრულება სავალდებულოა ბანკის ნებისმიერი მუშაკისათვის. ამ პოლიტიკურ დოკუმენტებს ოფიციალურად იყენებს საინსპექციო პანელი (იხ. ქვემოთ) იმ დარღვევების განსახილველად, რომლებსაც წარადგენს დაზარალებული მოსახლეობა. ეს სამოქმედო დირექტივები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: სამოქმედო პოლიტიკები, ბანკის პროცედურები და კარგი გამოცდილება (OP / BP / GP). საბანკო ოპერაციების განხორციელება ბანკის მენეჯმენტსა და პერსონალის მიერ უნდა ხდებოდეს სამოქმედო პოლიტიკისა და ბანკის პროცედურების მიხედვით. "კარგი მაგალითების" გამოყენება არ არის სავალდებულო, ის შეიძლება სახელმძღვანელოებად გამოიყენოს ბანკის პერსონალმა.

სხვა სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა

'უსაფრთხოების პოლიტიკის" გარდა არსებობს მსოფლიო ბანკის კიდევ რამოდენიმე პოლიტიკა, რომელთა არსებობაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისათვის. შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტს წარმოადგენს "ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა", რომელიც ადგენს ბანკის იმ დოკუმენტების სიას, რომლებიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის და პროექტის ის სტადიები, როდესაც ისინი არიან ხელმისაწვდომი.

ქვემოთ ჩამოთვლილია გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც არ შედის "უსაფრთხოების პოლიტიკის"კატეგორიაში:∧

- OP 4.02 გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა
- OP 4.07 წყლის რესურსების მართვა
- OP 4.15 მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება
- OP 4.20 განვითარების გენდერული ასპექტი
- GP 4.46 ენერგოეფექტურობა და ენერგიის დაზოგვა
- OP 8.60 რესტრუქტურიზაციის კრედიტები
- OP 10.20 გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ინვესტიციები
- OP 10.21 მონრეალის პროტოკოლის მრავალმხრივი ფონდი
- OD 13.05 პროექტის ზედამხედველობა
- GP 14.70 ბანკის მიერ დაფინანსებულ აქტიობებში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა
- BP 17.55 საინსპექციო პანელი

<u>საინსპექციო პანელი</u>

საინსპექციო პანელის დააარსება მსოფლიო ბანკის ყველა კონკრეტული ნაბიჯია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კრიტიციზმის საპასუხოდ საზოგადოებრივი გამჭვირვალობისა მიმართებაში. 1993 წელს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს რეზოლუციით დაარსებულმა საინსპექციო პანელმა დაიწყო მუშაობა 1994 წლის აგვისტოში. ამავდროულად საინსპექციო პანელმა შექმნა პრეცენდენტი სხვა მულტილატერალური განვითარების ბანკებისათვის.

საინსპექციო პანელის ოპერაციები იმარტება შემდეგი დოკუმენტებით: საბჭოს გადაწყვეტილება, პანელის პროცედურები, და საბჭოს 1996 წლის და 1999 წლის დირექტივები. პანელი ღებულობს და იძიებს სარჩელებს ინსპექციისათვის ხალხისაგან, რომელიც უშულაოდ დაზარალდა მსოფლიო ბანკის პროექტებისაგან, ბანკის პოლიტიკის, პროცედურებისა და საკრედიტო შეთანხმებების დარღვევის გამო. მოსარჩელე შეიძლება იყოს ორი ან მეტი ადამიანი მსესხებელი ქვეყნიდან, და უნდა ნათლად აჩვენონ მათი უფლებების ან ინტერესების უხეში დარღვევა. მოსარჩლეებმა უნდა ასევე დაამტკიცონ რომ მათ მიმართეს ბანკის მენეჯმენტს და არ მიულიათ ადექვატური პასუხი. მოსარჩელე შეიძლება იყოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

სამწუხაროდ საინსპექციო პანელს არ შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილებს ღებულობს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო, რომელიც ღებულობს ან უარყოფს პანელსი დასკვნებს. პანელი შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც ინიშნება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ.

დღემდე დაახლეობით 10 მდე საქმეა განხილული. 1995 წელს, ნეპალში არუნ ირრ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის პანელის გამოკვლევის შედეგად, გადაწყდა მსოფლიო ბანკი გამოსულიყო ფართო კაშხლის პროექტიდან, რომელიც მრავალ ადამიანს ემუქრებოდა გადასახლებით. როგორც ჩანს ეკონომიკური გათვლები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მეორეჯერ საბჭო დაეთანხმა 1997 წლის თებერვალში ჩატარებულ კვლევას, როდესაც ბანკი დათანხმდა გადაესინჯათ და შეესწავლად გარემოსდაცვითი და გადასახლების პოლიტიკის დარღვევები იაკურეთა კაშხლის პროეტში (პარაგვაი/არგენტინა). 2000 წელს, საინსპექციო პანელის ანგარიშის შემდეგ, აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ უარი თქვა ჩინეთი/ტიბეტის პროექტის განხორციელებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ჩინელი გლეხების გადასახლებას ტიბეტში.

IFC და MIGA პროექტები არ შედის საინსპექციო პანელის მანდატში. მსოფლიო ბანკი ამჟამად დამოუკიდებლად ვითარდება, კერძო სექტორზე ორიენტირებული დეპარტამენტების მიმართ სუსტი ზეგავლენის მექანიზმით. ბანკი თვლის, რომ ამ სექტორებს აქვთ სპეციალური სტატუსი, დაიცვან კონფიდენციალური ბიზნეს - ინფორმაცია. თუმცა, 1999 წლიდან კრიტიციზმის საპასუხოდ IFC-ში გაჩნდა ახალი თანამდებობა – ომბუდსმენი, რომელიც ღებულობს სარჩელებს IFC –ის პროექტებიდან დაზარალებული ხალხისგან.

<u>რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და საერთაშორისო განვითარების ბანკის</u>
<u>პროექტის ციკლი</u>

მსოფლიო ბანკმა მნიშვნელოვნად შეცვალა თავისი კრედიტების მოცულობა და სტრატეგია განვითარებადი პროექტების კრედიტირების ჩარჩოში, რაც აისახა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში თანადაფინანსებული პროექტების რიცხვის ზრდაში. გაიზარდა პროექტების რიცხვი, რომელიც პირდაპირ ფოკუსირებულია სიღარიბეზე, რომელიც ხანდახან დაჩქარებული ეკონომიკური ექსპანსიის შედეგია. დამატებით, ბაზისური ინფრასტრუქტურული კრედიტირება უფრო მიმართულია ზრდის ყოვლისმომცველი პროგრამებისა და მაკროეკონომიური რესტრუქტურირებისათვის.

საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე თითოეულმა პროექტმა უნდა გაიაროს პროექტის ციკლის პროცედურები. პროექტის ციკლს უძღვებიან და მართავენ მსოფლიო ბანკის თანამშრომლები. ქვემოთ წარმოდგენილ თავში ლაპარაკია IBRD-სა და IDA-ში პროექტის ციკლის მიმდინარეობისა და იმის შესახებ თუ რა სტადიაზე შეიძლება არასამთავრობო სექტორმა გავლენა იქონიოს პროცესზე. საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის პროექტის ციკლი ამ პროცედურის მსგავსია, მაგრამ ნაკლებ გამჭვირვალეა.

პროექტის ციკლი
იდენტიფიკაცია

პროექტის ციკლის პირველ ფაზაში ხდება იმ პროექტებისა შერჩევა რომელიც ბანკისათვის მისაღებია და პრიორიტეტულია სესხის ამღები მთავრობისათვის სექტორალური და ეკონომიური ანალიზის საფუძველზე. ბანკი იმავდროულად ამოწმებს ქვეყნის კრედიტუნარიანობას და იმას თუ რამდენად შეესაბამება ის ქევყნის დახმარების სტრატეგიას. პროექტის კონცეპციის და საინფორმაციო დოკუმენტები მზადდება პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ. ეს დოკუმენტები მოიცავს პროექტის მოკლე აღწერას, ძირითადი გარემოსდაცვითი პრობლემების, პროექტის კატეგორიის, გარემოსდაცვითი შეფასების ტიპისა და საზოგადოებრივი კონსულტაციების წინადადებების შესახებ ინფორმაციას.

ბანკი ამზადებს ქვეყნის ეკონომიკურ ანალიზს, მაშინ როდესაც სექტიორალური ანალიზი მზადდება ბანკის ან გაეროს რომელიმე სააგენტოს მიერ. იდენტიფიკაციის ფაზის შედეგად პროექტები ინტეგრირდება მსოფლიო ბანკის საკრედიტო პროგრამაში.

მომზადება

ამ ეტაპზე ხდება პროექტის მიზნის მისაღწევად საჭირო ყველა ეკონომიკური, ფინანსური, ტექნიკური და ინსტიტუციონალური პირობების წარმოჩინება. გარდა ამისა, პროექტის განხორციელებადობის

უზრუნველსაყოფად იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს ტექნიკური და ინსტიტუციონალური ალტერნატივები.

ფორმალურად სესხის ამღები პასუხისმგებელია პროექტის მომზადებაზე. მაგრამ სინამდვილეში ბანკი პროექტის მომზადების მაღალი ხარისხისა და თავისი სტანდარტების და მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად ეხმარება მსესხებელს. მას პროექტის მოსამზადებელად შეუძლია სპეციალური კრედიტის გამოყოფა. მოსამზადებელი ფაზა სრულდება მაშინ, როდესაც ბანკი და მსესხებელი ღებულობენ მისაღებ ტექნიკურ გადაწყვეტილებას, პროექტის განსახორციელებლად შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურას, და მეთოდიკას მოსალოდნელი პრობლემების გადასაჭელად.

წინასწარი შეფასება

წინასწარი შეფასება მოიცავს პროექტის ოთხ მთავარ აპექტს: ტექნიკურს, ინსტიტუციონალურს, ეკონომიკურს და ფინანსურს.

წინასწარი ტექნიკური შეფასება უზრუნველყოფს პროექტის თანამედროვე დაგეგმარებას და მის შესაბამისობას ბანკის სტანდარტებთან. იგი მოიცავს ტექნიკური ალტერნატივების, პრობლემათა გადაჭრის წინადადებების და მოსალოდნელი შედეგების, ასევე ადამიანებსა და ფიზიკურ გარემოზე პროექტის პოტენციური ზეგავლენის შეფასებას. ფაქტიური ტექნიკური პროექტის დოკუმენტი ასევე მოიცავს შესაძლო დანახარჯებს.

წინასწარი ინსტიტუციონალური შეფასების მიზანია პროექტის განხორციელებისათვის შესაბამისი ინსტიტუციონალური საფუძველის მომზადება, რაც გულისხმობს განმახორციელებელი ორგანიზაციის მართვის სტრქურურის ჩამოყალიბებას, შესაბამისი პროცედურებისა და პოლიტიკის დადგენას. ბანკმა უნდა გაითვალისწინოს კულტურული გარემოს თავისებურებანი.

წინასწარი ეკონომიური შეფასება აანალიზებს თუ რამდენად თანახვდება პროექტი ქვეყნის განვითარების მიზნებს. იგი აგრეთვე მოიცავს ალტერნატიული პროექტების დანახარჯების და მოგების ანალიზს, მაგრამ არ არის აუცილებელი რომ მოიცავდეს მოგების ანალიზის ეკონომიურ შეფასებას. ხოლო რისკის/ალბათობის ანალიზი კიდევ უფრო იშვიათად კეთდება.

წინასწარი ფინანსური შეფასების მიზანია უზრუნველყოს საკმარისი ფონდების ხელმისაწვდომობა, რომლის შედეგადაც დაიფარება პროექტის განხორციელების ხარჯები. მეორე მიზანია დაადგინოს რამდენად შეუძლია ქვეყანას კრედიტის დაბრუნება. ფინანსურ ანალიზში ასევე იხილება საპროცენტო განაკვეთი.

წინასწარი შეფასება ბანკის პასუხისმგებლობაა და ხორციელდება მისი შტატის მიერ. ამ ფაზის ბოლოს, მზადდება პროექტის შეფასების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შტატის შეხედულებეს პროექტზე და წარედგინება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. ვინაიდან ბანკი აქტიურადაა ჩართული პროექტის იდენტიფიკაციისა და მომზადების სტადიაში, წინასწარი შეფასებისას არ ხდება პროექტის დაწუნება, თუმცა შეიზლება განიცადოს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მოლაპარაკებები და პრეზენტაცია აღმასრულებელ საბჭოზე

მოლაპარაკებების დროს მიმღები ქვეყნის მთავრობა და ბანკი აღწევენ შეთანხმებას. მთავრობამ ჩვეულებრივ უნდა განიხილოს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები, ხოლო ბანკი უფრო მეტად უნდა იყოს მოწადინებული თავისი პოლიტიკის და მოთხოვნების ადაპტაციაზე ადგილობრივ პირობებთან.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ, საკრედიტო დოკუმენტები პრეზიდენტის ანგარიშთან ერთად, წარედგინება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. თუ საბჭო დაამტკიცებს პროექტს, კრედიტს მოეწერება ხელი და სესხის ამღებს შეუზლია დაიწყოს პროექტის განხორციელება.

განხორციელება და ზედამხედველობა

განხორციელება მსესხებელის პასუხისმგებლობაა, თუმცა ბანკს შეუძლია დახმარების გაწევა. ზედამხედველობის მიზანია იმის გარანტირება, რომ კრედიტები დაიხარჯა გამოყოფილი მიზნებისათვის და რომ საქონლისა და მომსახურეობის შესყიდვა დადგენილი წესით განხორციელდა.

საბოლოო შეფასება

საბოლოო შეფასება ამჟამად მსოფლიო ბანკის ყველა პროექტისათვის აუცილებელი მოთხოვნაა. 1970 წელს მსოფლიო ბანკში დაარსდა ოპერაციების შეფასების დეპარტამენტი. ბანკის შტატის მიერ მომზადებული პროექტის დასრულების ანგარიში წარედგინება ამ დეპარტამენტს, რომელიც ამზადებს თავის ანგარიშს (თუმცა ეს არ მოითხოვს ადგილზე სიტუაციის გაცნობას). ორივე ანგარიში განიხილება აღმასრულებელ დირექტიორთა საბჭოზე. მსესხებელს სთხოვენ ამ ანგარისებზე თავის შენიშვნების მომზადებას და საკუთარი ანგარიშის მომზადებას.

აუდიტის დროს თავიდან ფასდება მოგების ეკონომიური შეფასება, თუმცა პროექტის წარმატება-წარუმატებლობაზე მსჯელობა ჩვეულებრივ მხოლოდ წლების შემდეგაა შესაძლებელი. ამის გამო

ოპერაციების შეფასების დეპარტამენტი ირჩევს რამოდენიმე პროექტს, რომელსაც ხუთი წლის შემდეგ თავიდან აფასებს.

დამატებით ოპერაციების შეფასების დეპარტამენტის წლიური ანგარიში მოიცავს ყველა პროექტის აუდიტს და აკეთებს პროექტების ჯგუფის, სპეციური პრობლემების და გარკვეული ქვეყნების სექტორების ფართო ანალიზს.

<u>გარემოსდაცვითი შეფასება</u>

პროექტის წინასაწარ შეფასებამდე მსესხებელმა პროექტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნდა ჩაატაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები გარემოზე ზემოქმედების შეფასების განსახორციელებლად წარმოდგენილია 4.01 საოპერაციო პოლიტიკაში და 4.01 ბანკის პროცედურებში. თუ რამდენად ყოვლისმომცველია შეფასების პროცესი დამოკიდებულია პროექტის ტიპზე,ადგილზე,სენზიტიურობაზე,მასშტაბზე და გარემოსდაცვით პოტენციურ ზემოქმედებაზე. გარემოსდაცვითი შეფასება მოიცავს ზეგავლენას ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, სოციალურ გარემოზე, ტრანსასაზღვრო და გლობალურ გარემოზე. გარემოსდაცვითი შეფასება ხორციელდება ბანკის პროცედურების თანახმად მაგრამ, ამავდროულად, ბანკი ვალდებულია დაიცვას მსესხებელი ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.

ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურები

სკრინინგი

დაგეგმილი პროექტის სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროექტის გარემოზე ზემოწმედების პოტენციალს და მასშტაბს და ხდება პროექტის კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირება. ჯგუფი ასევე ადგენს თუ რა ტიპის გარემოსდაცვითი შეფასებაა (გშ) საჭირო. მზადდება პროექტის კონცეპციის დოკუმენტი,პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი და გარემოსდაცვით მონაცემთა ფურცელი. პროექტის კატეგორია ქვეყნდება ბანკის თვიურ საოპერაციო ბიულეტენში. არც ერთ პროექტს არ შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს ორი ან მეტი კატეგორია, მაგრამ თუ ჩნდება ახალი ინფორმაცია პროექტი რეკლასიფიცირდება.

კატეგორია A:პროექტს "აქვს მნიშვნელოვანი მავნე გარემოსდაცვითი ზეგავლენა,რომელიც არის სენზიტიური, წინააღმდეგობრივი ან მოულოდნელი" (საოპერაციო პოლიტიკა 4.01.პარაგრაფი 8.ა). A კატეგორიის ყველა პროექტი მოითხოვს სრულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) ან ყოვლისმომცველ რეგიონალ თუ სექტორალურ შეფასებას.

კატეგორია B: გარემოსდაცვითი ზეგავლენა პროექტისა მოსალოდნელია, რომ იყოს ნაკლებად მავნე ვიდრე A კატეგორიის პროექტები (ზეგავლენა შეიძლება იყოს ადგილობრივი, შექცევადია და დამაკმაყოფილებელი შემამსუბუქებელი ზომების მიღება შესაძლებელია). არ არსებობს დირექტივა, თუ რა სახის გშ საჭირო ამ ტიპის პროექტებისათვის ,ეს დამოკიდებულია პროექტის სამუშაო ჯგუფზე.

კატეგორია C: პროექტს აქვს მინიმალური ან სულ არა აქვს მავნე გარემოსდაცვითი ზეგავლენა, არ მოითხოვს გშზ-ს.

კატეგორია FI: პროექტი ფინანსდება ფინანსური შუამავლების გზით (სხვა ბანკები) და მის ქვე-პროექტებს შეიძლება ჰქონდეს მავნე ზემოქმედება გარემოზე. თითოეული ქვე-პროექტისათვის საჭიროა გშ-ს ჩატარება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური შუამავალის სესაძლებლობები არ იზლევა გშ-ს ჩატარების საშუალებას, ყველა A და B კატეგორიის პროექტები არის ბანკის განხილვის საგანი.

სპეციალური პროექტის ტიპები

სექტორალური კრედიტების შემთხვევაში, პროექტის აღმასრულებელი სააგენტო პასუხისმგებელია გშ-ს ჩატარებაზე.სექტორალური რეგუკლირების კრედიტების გარემოსდაცვითი შეფასება " აფასებს დაგეგმილი პოლიტიკის, კრედიტით განსაზღვრული ინსტიტუციური და მარეგულირებელი ქმედებების პოტენციურ გარემოსდაცვით ზეგავლენას" (საოპერაციო პოლიტიკა 4.01.პარაგრაფი 10).

საკრედიტო გარანტიებისათვის გშ მიწოდება ხდება წინასწარი შეფასების დროს. მხოლოდ სასწრაფო რეაგირების პროექტებს არ მოეთხოვება ამ სტადიაზე გშ-ს წარდგენა.

A და B კატეგორიის პროექტების შემთხვევაში მსესხებელმა უნდა დაიწყოს კონსულტაციები მკვიდრ მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. პირველ შეხვედრას ადგილი აქვს სკრინინგის დროს. მსესხებელმა უნდა გახადოს ხელმისაწვდომი პროექტის მიზნების, აღწერის და პოტენციური ზეგავლენის მოკლე შინაარსი.

მომზადება

პროექტის სამუშაო ჯგუფი პროექტის კონცეპციის მიმოხივაში საზღვრავს B კატეგორიის პროექტებისათვის გარემოსდაცვითი მართვის გეგმას. A კატეგორიის პროექტებში გარემოსდაცვითმა

სპეციალისტმა უნდა მოინახულოს პროექტის განხორციელების ადგილი. მსესხებელი სამუშაო ჯგუფთან ერთად ამზადებს ტექნიკურ დავალებას გშ-ს მოსამზადებლად, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კონსულტაციებს. მას შემდეგ მსოფლიო ბანკის რეგიონალური გარემოსდაცვითი განყოფილება ამტკიცებს ტექნიკურ დავალებას, მსესხებელი ამზადებს გშ-ს.

მსესხებელი ღებულობს მსოფლიო ბანკის შემდეგ დოკუმენტებს გშ-ს მოსამზადებლად:

- დაბინძურების თავიდან აცილების და შემსუბუქების სახელმძღვანელო
- A კატეგორიის პროექტებისათვის გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის ფორმა
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი შეიძლება ფინანსურად დაეხმაროს მსესხებელს გშ-ს მომზადებაში პროექტის მოსამზადებელი ფონდების საშუალებით, მაშინ როდესაც იურიდიული და ტექნიკური დახმარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას პროექტის ჩარჩოში.

A კატეგორიის პროექტებში მსესხებელი ვალდებულია მოიწვიოს გშ-ს ჩასატარებლად დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე მიიღოს რჩევები დამოუკიდებელი, საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი სპეციალისტების საბჭოსგან (საოპერაციო პოლიტიკა 4.01. პარაგრაფი 4). მეორე საზოგადოებრივი კონსულტაცია უნდა მოხდეს მას შემდეგ რაც მომზადდება გშ-ს სამუშაო ვარიანტი. ამ კონსულტაციისათვის მსესხებელმა უნდა მოამზადოს გშ-ს დასკვნების შინნარსი. გშ წარიდგინება ბანკში ინგლისურად, ფრანგულად ან ესპანურად (უკანასკნელ შემთხვევებსი მოკლე შინაარსით ინგლისურად).

მიმოხილვა და ინფორმაციის გავრცელება

პროექტის სამუშაო ჯგუფი და რეგიონალური გარემოსდაცვითი განყოფილება ამოწმებს გშ-ს შესაბამისობას ტექნიკურ დავალებასთან. თუ ანგარიში არ არის დამაკმაყოფილებელი სამუშაო ჯგუფმა შეიძლება მოითხოვოს წინასწარი შეფასების პროცესის თავიდან დაწყება.

ბანკი გშ-ს მოკლე შინნარსებს უგზავნის აღმასრულებელ დირექტორებს. A და B კატეგორიის პროექტებისათვის გშ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივ ენაზე მთელ რიგ საზოგადოებრივ ადგილებსი და ბანკის ინფოშოპში. A კატეგორიის პროექტებისათვის გშ ხელმისაწვდომი უნდა იყოს 120 დღით ადრე დირექტორთა საბჭოს დღემდე. გშ A კატეგორიის კრედიტის გარანტირების კრედიტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს 60 დღით ინფოშოპში, ხოლო **B** კატეგორიის პროექტებისათვის 30 დღით ადრე.

პროექტის წინასაწარი შეფასება

წინასწარი შეფასება დროს ხდება გშ-სპროცედურული და შინაარსობრივი ელემენტების განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინსტიტუციონალური და ფინანსური ფონი გარემოსდაცვითი მართვისათვის, განისაზღვროს რამდენად მიღებულია მხედველობაში პროექტის დაგეგმვისა და ეკონომიური ანალიზის დროს გშ-ს რეკომენდაციები.

A კატეგორიის პროექტებისათვის მოთხოვნის თანახმად წინასწარი შეფასების ჯგუფი ერთ გარემოსდაცვით სპეციალისტს მაინც უნდა ითვლიდეს. წინასწარი შეფასების შემდეგ, მსესხებლის მიერ მზადდება და პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ იხილება პროექტის განხორციელების გეგმა, რომელიც ავსებს პროექტის წინასწარი შეფასების დოკუმენტს. ეს დოკუმენტი შეიცავს გშ-ს დასკვნების მოკლე შინაარსს. A კატეგორიის პროექტებისათვის გშ-ს ანგარიშის მოკლე შინაარსი თან ერთვება დოკუმენტს როგორც დანართი.

განხორციელება და ზედამხედველობა

განხორციელების დროს, მსესხებელი აბარებს ანგარიშებს სამუშაო ჯგუფს: მიღებული ზომების შესაბამისობაზე, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის განხორციელების ჩათვლით; შემამსუბუქებელი ზომების სტატუსის შესახებ; მონიტორინგის პროგრამების ანგარიშებს.

პროექტის სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს პროექტის გარემოსდაცვით ასპექტებს, უზრუნველყოს რომ საზედამხედველო ჯგუფს ჰქონდეს ადექვატური გარემოსდაცვითი ექსპერტიზა და გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების შესრულება. თუ ეს ხელშეკრულებები არ ხორციელდება შესაბამისად სამუშაო ჯგუფი ბანკის იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად ღებულობს გადაწყვეტილებას თუ რა ქმედებები უნდა გატარდეს ამის აღმოსაფხვრელად.

მას შემდეგ რაც პროექტი განხორციელდება, მზადდება განხორციელების დასრულების ანმგარიში, რომელშიც ფასდება პროექტის გარემოსდაცვითი ზეგავლენა, აღინიშნება იყო თუ არა ეს ზეგავლენა მოსალოდნელი გშ-ს ანგარიშში და ფასდება შემამსუბუქებელი ზომების ეფექტურობა.

როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია მსოფლიო ბანკიდან

ε ბანკი აღიარებს და ადასტურებს განვითარების პროცესში პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. შესაბამისად, ბანკის პოლიტიკაა იყოს ღია თავისი მოღვაწეობის შესახებ და ფართო აუდიტორიისათვის თავისი საქმიანობის პოპულიარიზაციისათვის მოიძიოს ხელსაყრელი შემთხვევები.

–მსოფლიო ბანკის ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა

იმისათვის რომ გაგიგოთ, თუ რა სესხებს გასცემს მსოფლიო ბანკი თქვენი ქვეყნის პროექტებისა და პროგრამების დასასფინანსებლად, თუ კონკრეტული პრიოექტი იწვევს შეშფოთებას აუცილებელია ბანკის ძირითადი დოკუმენტების მოპოვება. თქვენი წარმოდგენა იმის შეხახებ, თუ რა ზეგავლენას იქონიებს ბანკის ოპერაცია ან ეკონომიკური სტრატეგია თქვენი ქვეყნის გარემოსდაცვაზე, ეკონომიკაზე ან საზოგადოებაზე, უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის ინფორმაციას. სამწუხაროდ ამ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი მზადდება და მოწმდება ბანკის ან თქვენი მთავრობის მიერ.

მსოფლიო ბანკში მზადდება უამრავი დოკუმენტი პროექტებისა და პოლიტიკური სესხების შესახებ, მაგრამ მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს წარმოდგენა თუ რომელი დოკუმენტია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ბანკის ადგილობრივი ოფისები ხანდახან უყურადღებოდ ეკიდებიან მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამასთან, ინფორმაცია ძალიან ხშირად შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, რის გამოც ბანკის დოკუმენტები თითქმის უსარგებლოა ადგილობრივი დაინტერესებული მოსახლეობისათვის.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - მოქალაქის უფლება

მსოფლიო ბანკის მიერ ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკის შემოღება 1993 წელს, იყო აშკარა გამოხმაურება 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საერთაშორის ზეწოლის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლების და მთავრობის წევრების მხრიდან. ძირითადი მოთხოვნა იყო მსოფლიო ბანკის გამჭვირვალობა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობა. ვინაიდან, მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც განიცდის ზარალს ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად, ხშირად ყველაზე ბოლოს იგებდნენ საქმიანობის შესახებ, ვიდრე მონაწილეები და სარგებლის მიმღებები. პოლიტიკის შემოღება გახდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბანკში და განვითარების პროცესებისში გამჭირვალობის დამკვიდრებისათვის.

მსოფლიო ბანკის ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა არის ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს თუ რა ინფორმაციაა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. ეს მოიცავს მთელ რიგ ბანკის პროექტებს და საინვესტიციო სექტორის დოკუმენტებს, გარემოსდაცვით და საზოგადოებრივ ინფორმაციას, დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ეკონომიკური და ქვეყნის სექტორის მუშაობაზე.

პოლიტიკა აგრეთვე ითვალიწინებს, რომ მისი პროექტებისა და სამოქმედო პოლიტიკების გავრცელება არის 'აუცილებელი პირობა პროექტების ეფექტურად შესრულებისათვის და დახმარებისათვის", რომლებსაც ბანკი აფინანსებს. ბანკის სხვა სამოქმედო პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამან ინფორმაციის გამჭირვალობის აუცილებლობას, როგორც ძირითად კომპონენტს მოსახლეობას ეფექტური მონაწილეობისათვის. ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების პოლიტიკა, რვ 4.01, მოითხოვს, რომ 'მსესხებელმა უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწდომობა მკვიდრი მოსახლეობისა და არასამთვარობო ორგანიზაციებისათვის. ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნეს დროულად, მაგალითად, საზოგადოებასთან შეხვედრებამდე და კონსულტაციებამდე, იმ ფორმით და იმ ენაზე, რომელიც გასაგებია და ხელმისაწვდომია იმ ხალხისათვის, რომელთანაც უნდა ჩატარდეს კონსულტაციები".

II. რა ინფორმაცია არის სასარგებლო და როგორ მოვიპოვოთ იგი

ბანკის მიერ მზადდება მრავალი სტანდარტიზირებულ დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია პროექტებსა და ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ეს დოკუმენტები სასარგებლოა მოქალაქეებისათვის, რათა შეიტყონ თუ რის დაფინანსებას აპირებს მსოფლიო ბანკი მათ ქვეყანაში და თუ რა სახის ეკონომიკურ რჩევებს იღებს მათი მთავრობა მსოფლიო ბანკისაგან. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია ხსნის თუ რომელი დოკუმენტი არის სასარგებლო, როდის და სად შეგიძლიათ მათი მათი მოპოვება.

მსოფლიო ბანკის ვებ-საიტი - http/www.worldbank.org.

აქ თავმოყრილია ოფიციალური ინფორმაცია მსოფლიო ბანკის შესახებ: პოლიტიკები, პროექტის საინფორმაციო ფურცელები, ფაქტები, ანალიტიკური დოკუმენტები, ანგარიშები, მისამართები. ვებსაიტის განახლება ხდება ხშირად და იგი არის ყველაზე კარგი წყარო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაღებად.

მსოფლიო ბანკის ოფისები და ინფოშოპი

ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ მსოფლიო ბანკის ოფისებიდან ტოკიოში, ლონდონში, პარიზში და ბანკის ნებისმიერი მსესხებელი ქვეყნების ადგილობრივ ოფისებში. ვაშინგტონში , მსოფლიო ბანკის მთავარ ოფისთან არსებობს ინფოშოფი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ ოფისებს იმ დოკუმენტაციებით, რომლებიც შეესაბამება ქვეყანას. ადგილობრივი ოფისები აგრეთვე უზრუნველყოფილნი არიან პოლიტიკური დოკუმენტებით.

პარიზი 66 Avenue d'lana 75116 Paris, France, ტელ: 33-1-40-69-30-12; ფაქსი: 33-1-40-69-30-69; ელ.ფოსტა: pparis@worldbank.org

ლონდონი New Zealand House; 15th Floor; Haymarket , London SWI Y4TE; England
ტელ: 44-71-930-8511; ფაქსი: 44-71-930-8515; ელ.ფოსტა: plondon@worldbank.org

ტოკიო Kokusai Building; 1-1, Marunouchi 3-chome;

1993 წლის 1 იანვარს მსოფლიო ბანკმა დააარსა საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრი (PIC) თავის შტაბ-ბინაში ვაშინგტინში, D. C. ახლა მას ეწოდება ინფოშოფი, PIC გასცემს მოთხოვნილ დოკუმენტაციას, რათა მსოფლიო ბანკის დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკის თანახმად, მას აგრეთვე გააჩნია საზოგადოებრივი სამკითხველო ოთახი, სადაც დოკუმენტები ხელმისაწვდომია ნაბეჭდის სახით. ინფორმაციები შეიძლება მოითხოვოთ პერსონალურად, ფოსტით, ელექრონული ფოსტით, ტელეფონით ან ფაქსით:

The World Bank Infoshop, 1818 H Street NW; Washington, D.C. 20433
ელ.ფოსტა: pic@worldbank.org ; ტელ: 202-458-5454 / ფაქსი: 202-522-1500
http/www.worldbank.org

მსოფლიო ბანკიდან ხელმისაწვდომი დოკუმენტაცია

<u>საპროექტო და სექტორალური კრედიტის დოკუმენტაცია</u>

1. პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი – არის საზოგადოების ინფორმირების საწყისი წყარო ბანკში განხილვის პროცესში შესული ახალი პროექტის ან სექტორალური კრედიტის შესახებ. ეს არის ძალიან მოკლე (2-6გვერდი) დოკუმენტი, რომელიც აჯამებს პროექტის ძირითად ელემენტებს: (ა) მიზნებს; (ბ) მოსალოდნელ ან სავარაუდო კომპონენტებს; (ც) ფასებს და დაფინანსებას; (დ) გარემოსდაცვით ემისიებს; (ე) უზრუნველყოფისა და საკონსულტაციო მომსახურეობის სტატუსს; (ფ) გამოკვლევებს გარანტირებისათვის და (გ) საკონტაქტო დეტალებს. იგი უნდა იყოს მოდერნიზებული და შევსებული პროექტის განვითარების პროცესში. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა ეს დოკუმენტები მომზადებულია ინგლისურ ენაზე.

პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი ხელმისაწვდომია უფასოდ ბანკის ინფოსჰოპ-ში და ვებსაიტზე., როგორც კი პროექტი მოექცევა ბანკის განხილვის პროცესში, გამოჩნდება თვიურ საოპერაციო ცნობარში.

2. ფაქტობრივი ტექნიკური პროექტის დოკუმენტები - ბანკის მიერ განსაზღვრულია ფაქტობრივი ტექნიკური დოკუმენტაციის სია, როგორც ქვემოთ არის ჩამოთვლილი (ეს სია არ არის საბოლოო და შეიძლება მოიცავდეს სხვა დოკუმენტებსაც):

- წინასწარი კვლევები
- წინასწარი კვლევები ღირებულების / მოგების ანალიზების ჩათვლით
- ადგილის და ნიადაგის გამოკვლევა
- გაგმის დეტალური გამოკვლევები
- სააგენტოების ფინანსური დადგენილებების პასუხისმგებლობა პროექტის სისრულეში მოსაყვანად.
- ინსტიტუციონალური სტრუქტურის აღწერა

- ტექნიკური გამოკვლევები, რომელიც ეხმარება გარემოსდაცვითი ზემოქმედების ანალიზს
- პროექტთან დაკავშირებული სიღარიბის ანალიზი

ამ დოკუმენტაციის მომზადება ხდება პროექტის მომზადების პერიოდში ბანკის ან მსესხებელის მიერ. ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ინფოშოპ-ში და ვებსაიტზე. თუმცა ხშირად ეს დოკუმენტაცია აუცილებელია პროექტის სრულფასოვანი შეფასებისათვის. ფაქტობრივი ტექნიკური ინფორმაცია უნდა მოეთხოვოს ბანკის სამუშაო ჯგუფის უფროსის ან ქვეყნის დირექტორისაგან.

3. პროექტის საბოლოო შეფასების დოკუმენტი – მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: საპროექტო წინადადებას აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოსთვის წარსადგენად, კრედიტის დეტალურ აღწერას, გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედების ანალიზს და მათ შემამსუბუქებულ გეგმებს, შტატის წინასწარი შეფასების ანგარიშებს. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

პროექტის შეფასების დოკუმენტი პროექტის ან სექტორალური სესხის მთავარი ტექნიკური დოკუმენტია. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სესხის დამტკიცების შემდეგ. ეს დოკუმენტი განსაკუთრებით საჭიროა იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც აინტერესებთ პროექტის დეტალები. იგი უნდა მოიცავდეს ქვემით ჩამოთვლილ ინფორმაციას: (ა) ბანკის სამუშაო ჯგუფის უფროსი და ქვეყნის დირექტორი; (ბ) ქვეყანაში აღმასრულებელი სააგენტო და სხვა ინსტიტუციონალური საკითხები; (ც) ფინანსური ინფორმაცია: სესხის რაოდენობა, ინფორმაცია თანადამფინანსებლებზე, და ხარჯების აღწერა; (დ) რა არის დაგეგმილი: პროექტის ან სექტორალური ინვესტიციის საფუძვლიანი აღწერა, როგორ უნდა იმართოს პროექტი, და რა არის დაგეგმილი მონიტორინგისათვის და შეფასებისთვის; (ე) როგორ უწყობს ხელს პროექტი ბანკის ქვეყნის დახმარების სტრატაგიის მიზნებს ქვეყნისათვის (ფ) რა ალტერნატივები შეიძლება ყოფილიყო მოფიქრებული და რატომ უარყვეს ისინი; (გ) სხვა ძირითადი მსგავსი პროექტები, რომელიც დაფინანსდა ბანკის ან განვითარების სააგენტოების მიერ; (ჰ) 'საკუთრების უფლება'' - მსესხებელის ვალდებულება (ი) პროექტის მომზადებისას შესრულებული ყველა დაბეგვრის მონაცემები: სოციალური დაბეგვრის, გარემოსდაცვითი დაბეგვრის, მკვიდრი მოსახლეობების განვითარების გეგმების, ფინანსური, ეკონომიური და ტექნიკური დაბეგვრების ჩათვლით; (ჯ) ვინ იღებს მონაწილეობას პროექტის განვითარებაში: არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობა, აკადემიური ინსტიტუტები და ა.შ.; (კ) პოლემიკები: ვინ შეიძლება ყოფილიყო პროექტის წინაამღდეგი, რა სადავო საკითხები წამოიჭრა და (ლ) სესხის პირობები: რა ხარჯების ვალდებულება უნდა აიღოს მთავრობამ გასაგრძელებლად. æეს დოკუმენტი ყოველთვის იწერება ინგლისურ ენაზე, რადგან ისინი მზადდება ბანკის აღმასრულებელი საბჭოს დირექტორებისათვის და არა მსესხებელი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ან მთავრობებისთვის.

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინფოშოპში, მუდმივ წარმომადგენლობებსა და ადგილობრივ ოფისებში აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ. გამონაკლის შემთხვევებში პროექტის მომზადების დროს.

4. სესხისა და საკრედიტო შეთანხმებები – ეს არის იურიდიული შეთანხმება მსოფლიო ბანკისა და მსესხებელ ქვეყანას შორის გარკვეულ პროექტზე ან სექტორალურ სესხზე. სესხის შეთანხმებები განეკუთვნება იმ სესხებს, რომლებიც ფინანსდება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ (ıBRD). საკრედიტო შეთანხმებები განეკუთვნება იმ კრედიტებს, რომლებიც დაფინანსდა საერთაშირისო განვითარების ასოციაციის მიერ (IDA). ეს დოკუმენტები ჩვეულებრივ იწერება ინგლისურ ენაზე.

სესხისა და საკრედიტო ხელშეკრულებები ხელმისაწვდომია ბანკის ინფოშოპიდან და სამინისტროების მიერ თანხმობის მიცემის შემდეგ.

სტრუქტურული და სექტორალური რეგულირების პროგრამები (SAPs) – არის ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომი, ვიდრე ბანკის სხვა სახის ოპერაციების შესახებ. ხელმისაწვდომია მხოლოდ ცნობა ბანკის ყოველთვიურსაოპერაციო ცნობარში და პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი. მიუხედავად კონფიდენციალურობისა სხვა დოკუმენტები შეიძლება მოპოვებულ იქნას შემთხვევის და მიხედვით. პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი სტრუქტურული რეგულირების ოპერაციისთვის მოიცავს: (ა) ინფორმაციას ოპერაციის დასაბუთებაზე; (ბ) შáæ-ის მიზნებს; (ც) სესხის აღწერა, რომელიც მოიცავს სიღარიბეზე ზემოქმედებას; (დ) პროგრამის განხორციელებას მასზე პასუხისმგებელის ჩათვლით და (ე) გარემოსდაცვით მოთხოვნებს, თუკი ასეთი არსებობს. ის არის მთავარი ინფორმაციული წყარო, სესხის დამტკიცებამდე და ხელმისაწვდომია ინფოშოპ-ში და ბანკის ვებსაიტზე.

სხვა დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობაზე, როგორიცაა ფაქტიური ტექნიკური დოკუმენტები , ტექნიკური დანართები და პრეზიდენტის მემორანდუმი, არ არსებობს დადგენილი პოლიტიკა. სტრუქტურული რეგულირების პროგრამების შემაფასებელი დოკუმენტის ნაცვლად შეიძლება მომზადდეს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოში წარსადგენად ტექნიკური დანართი და პრეზიდენტის მემორანდუმი. ეს მოიცავს (ა) პროექტის აღწერას; (ბ) პროექტის ღირებულების ხარჯთაღრიცხვებს და დაფინანსების გეგმას; (ც) მონაცემებს პროექტის რეალიზაციის მომზადებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი სააგენტოებისა და გადახდის სქემის ჩათვლით; და (დ) პროექტის სარგებელსა და შესაძლო რისკებს. აგრეთვე მოიცავს პოლიტიკასთან დაკავშირებულ კონსულტეციებსა და რეკომენდაციებს. გამონაკლის შემთხვევაში ეს დოკუმენტაცია შეიძლება მოძიებულ იქნას ვებ-საიტზე ან მოთხოვნილ იქნას ქვეყნის დირექტორისაგან.

გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია

ბანკის ინფორმაციული პოლიტიკის მიხედვით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები:

- IBRD-ისა და IDA-ს მიერ დაფინანსებული A კატეგორიის პროექტების გარემოსდაცვითი შეფასება
- IBRD-ისა და IDA-ს მიერ დაფინანსებული B კატეგორიის პროექტების გარემოსდაცვითი ანალიზი
- გარემოსდაცვითი მონაცემები
- ეროვნული გარემოსდაცვითი ღონისძიების გეგმები
- ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების გეგმები
- გადასახლების გეგმები

გარემოსდაცვითი შეფასება - ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი განხილვისა და კომენტარებისათვის პროექტის დამტკიცებამდე, მისი ყოველმხრივი შესწავლა შესაძლებელია პროექტის განხორციელების ადგილზე და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ადგილობრივ ოფისში. მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული გშ-ს სრული სია განლაგებულია მის ვებ-საიტზე. (.იხ. თავი: პროექტის ციკლი. გარემოსდაცვითი შეფასება)

სპეციფიური (პროექტის) გარემოსდაცვითი შეფასება – მზადდება A კატეგორიის პროექტისათვის.

სექტორალური გარემოსდაცვითი შეფასება - შეიცავს: (ა) ალტერნატიულ ვარიანტებს; (ბ) სექტორალური პოლიტიკის ცვლილებების შედეგს; (ც) დადგენილ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს გარემოსდაცვითი მიმოხილვისათვის, პროექტის სისრულეში მოყვანისა და მონიტორინგის სექტორალურ დონეზე; და (დ) ბევრი, შედარებით პატარა, მსგავსი ინვესტიციების ერთობლივ ზემოქმედებას პროექტზე.

გარემოსდაცვითი ანალიზი – მზადება ε კატეგორიის პროექტისათვის, მოიცავს სპეციფიური გარემოსდაცვითი ზემოქმედებების დეტალური აღწერას, შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს პროექტის განხორციელების ადგილზე. გარემოსდაცვითი ანალიზი შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას: (ა) იდენტიფიკაციასა და შეჯამებას ყველა გათვალისწინებულ, მნიშვნელოვან, არახელსაყრელ გარემოსდაცვითი ზემოქმედებებისას; (ბ) თითოეული შემამსუბუქებელი ღონისძიების აღწერასა და ტექნიკურ დეტალებს; (ც) დადგენილ შეთანხმებებს; (დ) დასუსტებული გეგმისათვის გრაფიკის შესრულებას; (ე) მონიტორინგისა და ანგარიშის პროცედურებს; და (ფ) დასუსტებული გეგმის ინტეგრაციას მთლიანი პროექტის საფასურში.

ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა – ეს არის ბანკის მიერ დაფინანსებული და მთავრობის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც გამოყოფილია მთავრობის გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და პროგრამები. მსოფლიო ბანკის ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა ახდენს მსესხებელ მთავრობების სტიმულირებას გახადოს ეს გეგმა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. მთავრობის თანხმობის შემთხვევაში ბანკი გახდის დოკუმენტს ხელმისაწვდომს ინფოშოფიდან.

მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმა – მზადდება, როგორც პროექტის ნაწილი, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვნად დაზარალებს მკვიდრ მოსახლეობას. უნდა მომზადდეს მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივ ენებზე, რადგან ბანკის პოლიტიკა ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებით ადასტურებს, რომ „მკვიდრი მოსახლეობის საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიები დაფუძნებული უნდა იყოს თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობაზე“.

მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც გარემოსდაცვითი

შეფასების ნაწილი A კატეგორიის პროექტებში და გარემოსდაცვითი ანალიზის B კატეგორიის პროექტებში. ის შეიძლება მოიცავდეს: (ა) იურიდიულ ჩარჩოს; (ბ) ძირითად მონაცემებს; (ც) მიწის მფლობელობის საკითხებს; (დ) სტრატეგიას ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობისათვის; (ე) მოქმედების დადგენასა და ზემოქმედების შესუსტებას; (ფ) ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებს; (გ)განხორციელების განრიგი; (ჰ) მონიტორინგსა და შეფასებას; (ი) ღირებულების შეფასებას და დაფინანსების გეგმას.

გეგმის სამუშაო ვარიანტები ხელმისაწვდომია იყოს პროექტის შტატისაგან ან მუდმივი წარმომადგენლობისაგან; ხოლო საბოლოო გეგმა მსოფლიო ბანკის ინფოშოფში. დანართის სახით მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმა შეიძლება დაერთოს პროექტის შეფასების დოკუმენტს ან გარემოსდაცვით შეფასებას. გეგმები და საბოლოო დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივ ენებზე, თუმცა ეს არ არის ბანკის პოლიტიკის მოთხოვნა.

გადასახლების გეგმა - მზადდება თუ პროექტისათვის საჭიროა 50-ზე მეტი ოჯახის გადასახლება იძულებით, განისაზღვრება A კატეგორიად, მზადდება როგორც გარემოსდაცვის შეფასების წილი, ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის პროექტის შეფასებამდე.

გადასახლების გეგმა მოიცავს დეტალურ ინფორმაციას: (ა) გადაადგილებულ მოსახლეობაზე გადასახლების ზემოქმედებისა და მასშტაბის საბოლოო მონაცემებს; (ბ) საყოფაცხოვრებო დამახასიათებელი თვისებების აღწერას და სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევას, რომელიც აღწერს გადასახლების შედეგებს; (ც) დაზარალებული მოსახლეობის რესურსულ ბაზას; (დ) მატერიალურ ზარალს, რომელიც მიყენებული იქნება გადასახლების დროს; (ე) ლეგალურ ჩარჩოს; (ფ) გადასახლების ადგილის დადგენას; (გ) შეთავაზებული ადგილის რეაბილიტაცია;ს (ჰ) დაკარგულლი ღირებულებების შეფასებას; (ი) მიწის მფლობელობისა და პრივატიზაციის პროცესის განხილვას; (ჯ) საჩივრის პროცედურებს; (კ) შემოთავაზებულ ინფრასტრუქტურასა და სოციალურ მომსახურეობებს; და (ლ) სამუშაოს შესრულების გრაფიკს.

საინსპექციო პანელის ინფორმაცია – ყველა ინფორმაცია დაკავშირებული საინსპექციო პანელის მუშაობასთან ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, იმ შიდა დოკუმენტაციის გარდა, რომელსაც პანელი განიხილავს საკითხის შესწავლის დროს. დოკუმენტების მიღება შესაძლებელია მსოფლიო ბანკის ინფოშოფიდან, საინსპექციო პანელის ოფისიდან და აგრეთვე ჩამოთვლილია ბანკის ვებსაიტზე. ანგარიშები მზადდება ინგლისურ ენაზე და ითარგმნება ბანკის მიერ მოთხოვნის შემდეგ.

საინსპექციო პანელი უზრუნველყოფს ბანკის პროექტების შედეგად დაზარალებულ ხალხის სარჩელის განხილვას თუ თვლიან, რომ ბანკის მიერ განხორციელებულმა ოპერაციამ მათ მატერიალური ზარალი მიაყენა. სარჩელის შეტანისა და გამოძიების პროცესი ქმნის რამოდენიმე ტიპის დოკუმენტს,რომლიდანაც ყველა ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის:

- *ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს დათანხმდა რათა პანელმა დაიწყოს გამოძიება:* ა) სარჩელი; ბ) პანელის განცხადება რეგისტრაციის შესახებ, რომ მან მიიღო სარჩელი და გადაწყვიტა, რომ იგი შესაფარისია განხილვისათვის; და გ) კომისიის წინასწარი განხილვა და რეკომენდაცია გამოძიების დაწყებისათვის, რაც წარედგინება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს.
- *საინსპექციო პანელის ინფორმაცია პროექტის განხილვის შემდეგ:* ა) კომისიის პანელის ანგარიში, რომელიც მოიცავს შესაბამისი ფაქტების მიმოხილვას, დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს, დამხმარე დოკუმენტების სიას, რომელის ხელმისაწვდომი იქნება კომისიის პანელისაგან, და უმრავლესობისა და უმცირესობის შეხედულებების აღწერას თუ კომისიის პანელი ვერ მიაღწევს კონსესუსს გადაწყვეტილების მიღებისას. ბანკი გამოუშვებს ანგარიშს 6 კვირაში, მას შემდეგ რაც იგი განსახილველად გადაეცემა საბჭოს; ბ) მენეჯმენტის პასუხი მოთხოვნაზე; გ) საბჭოს მიერ მიღებული გამოძიების შედეგები და მოქმედებები, რომელიც გამოიცემა 2 კვირის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დირექტორები ოფიციალურად განიხილავენ გადაწყვეტილებებს.
- *საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სხვა სახის ინფორმაცია:* ა) კომისიის პანელის პროცედურები (ხელმისაწვდომია ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ და ფრანგულ ენებზე); ბ) კომისიის პანელის წლიური ანგარიშები; და გ) პრესრელიზები სარჩელზე. ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომია ინფოშოფიდან, მსოფლიო ბანკის კომისიის პანელის ოფისიდან და ჩამოთვლილია ბანკის ვებსაიტზე.

შენიშვნა: კომისიის პანელის სამოქმედო პროცედურები ახლახან შეიცვალა (21 აპრილი 1999). ამ ცვლილებებს ეწოდათ „განმარტებანი" და მოცემულია ახალ დოკუმენტში სახელწოდებით „ საბჭოს დასკვნები საინსპექციო პანელის მეორე განხილვაზე". ეს დასკვნები ხელმისაწვდომია ბანკის ვებსაიტზე „არასამთავრობო ორგანიზაციების" სექტორშიც და საინსპექციო პანელის გვერდზე www.worldbank.org/html/ins-panel

ქვეყნის ეკონომიკური და სექტორალური მუშაობის ანგარიშები - ეს დოკუმენტი მომზადებულია, როგორც ბანკის ქვეყნის დახმარების სტრატეგიის განვითარების ნაწილი. აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ მოწონების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკიური და სექტორალური მუშაობის ანგარიშები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. ეს ანგარიშები მოიცავენ დოკუმენტების ფართო სპექტრს მსესხებელი ქვეყნების ეკონომიკებისა და სექტორების შესახებ. ამ კატეგორიის ხელმისაწვდომი დოკუმენტები შემდეგია:

- *ქვეყნის ეკონომიკის მემორანდუმი:* ეს ანგარიშები მოეთხოვებათ ქვეყნებს მოქმედი სესხების პროგრამით. ის მზადდება, რათა ინფორმაცია მიეწოდოს აღმასრულებელ საბჭოს და ბანკის მენეჯმენტს ეკონომიკის გეგმებისა და საკითხების შესახებ მსესხებელ ქვეყნებში, უზრუნველყონ ბექგრაუნდი მთავრობასთან დიალოგისათვის. ქვეყნის ეკონომიკური ანგარიშები აგრეთვე ითვალისწინებენ სხვა დონორებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციასა და ანალიზს. ისინი მოიცავენ ეკონომიკური მოვლენებისა და მთავარი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების განხილვას და ქვეყნის პერსპექტივებს.
- *ქვეყნის ეკონომიკური და სექტორალური ანგარიშები:* ეს ანგარიშები მოიცავენ ქვეყნის ეკონომიკურ ანგარიშებს, სპეციალურ ანგარიშებს საზოგადოებრივი ინვესტიციის პროგრამების სფეროში, ფინანსურ სექტორს, ექსპორტის პოლიტიკას, შემოსავლის განაწილებასა და ბაზრების მუშაობას. ამ ანგარიშებიდან ბევრი ოფიციალურია და მათი საბოლოო ვარიანტი ვრცელდება საბჭოში, ხოლო ზოგიერთი არაოფიციალური ან კონფედენციალური საკითხია, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.
- *ცხოვრების დონის შეფასებები:* ეს დოკუმენტები სხვა საკითხებთან ერთად მოიცავენ საყოფაცხოვრებო გამოკვლევებს, ცხოვრების დონის საკითხებს და ბენეფიციუმის შეფასებებს. ისინი აგრეთვე უნდა მოიცავდნენ ინფორმაციას პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების შესახებ.
- *ქვეყნის დახმარების სტრატეგია:* CAS არის ძირითადი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელსაც ბანკი ამზადებს სესხის დონეების განსაზღვრისათვის; ოპერაციებისათვის და ეკონომიკური და სექტორალური გამოკვლევისათვის, რომელიც იქნება მიმართულება მსესხებელი ქვეყნისათვის შემდგომი 1-დან 5 წლამდე პერიოდში. ბანკის ახალი პოლიტიკა CAS-ის შესახებ CAS-ის საზოგადოებრივი ინფორმაციული შენიშვნა (CAS Public Information Notice) შედგება 2 გვერდისაგან, CAS-იც და CAS-is პროგრესული ანგარიშიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. ესტუმრეთ ბანკის ვებსაიტს http:/www.worldbank.org/htm/pic/cas/index.htm რათა ნახოთ თუ რომელი CAS არის ამჟამად ხელმისაწვდომი.

საექსპლუატაციო პოლიტიკა, ბანკის პროცედურები და კარგი პრაქტიკა – ეს დოკუმენტაცია არის ბანკის პოლიტიკური ჩარჩო, რომელიც მოიცავს ბანკის ყველა იმ შესრულებულ ოპერაციას. ყველა პოლიტიკური დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბანკის ინფოშოფიდან და ვებსაიტიდან

საოპერაციო პოლიტიკა წარმოადგენენ ბანკის პოლიტიკის მოკლე განაცხადს, რომელეიც საწყის იღებს ბანკის წესდების პუნქტებიდან, ძირითადი პირობებიდან და საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკებიდან. ის განსაზღვრავს ბანკის შტატს, ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაციების პარამეტრებს, დეტალურად გადმოგვცემს იმ პირობებსა და ვითარებებს, რომელთა დროსაც გამონაკლისები ნებადართულია. ბანკის პროცედურები ადგენს პარამეტრებს პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის. კარგი პრაქტიკა სახელმძღვანელოა ბანკის შტატისთვის, ამგრამ არა სავალდებულო

სექტორალური პოლიტიკის გეგმის დოკუნენტაციის გამოქვეყნება შესაძლებელია აღამსრულებელი საბჭოს სემინარამდე (საბჭოს სემინარი არის არაოფიციალური შეხვედრა, სადაც საბჭოს წევრები დასკვნებს აკეთებენ ბანკის შტატის გეგმის პოლიტიკურ კურსზე და სხვა საკითხებზე.), რომელიც ტარდება ბანკის შტატისა და აღმასრულებელი დირექტორების მიერ დაინტერესებული ჯგუფებიდან კომენტარისათვის. თუმცა გეგმის საბოლოო პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც წარდგენილია დასამტკიცებლად არ გამოქვეყნდეს. აღმასრულებელ დირექტორთა შეხვედრის წესები კრძალავენ მათ შეხვედრამდე იმ დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომლებიც განსახილველად საბჭოში არიან გაგზავნილნი. ყველა პოლიტიკა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

პოლიტიკური ჩარჩოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სხვა დოკომენტები -პოლიტიკური ჩარჩოს დოკუმენტაცია, რომელიც მომზადებულია მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და წევრი ქვეყნების მიერ, მოიცავს ქვეყნის მაკროეკონომიკური და სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკებს და მის საგარეო დაფინანსების მოთხოვნილებებსა და წყაროებს.

მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, პოლიტიკური ჩარჩოს დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია მსოფლიო ბანკისა და IMF-ის ვებსაიტებზე. IMF-ის ვებსაიტზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაციაა მოცემული, ამიტომ თუ თქვენ ეძებთ პოლიტიკური ჩარჩოს დოკუმენტაციას და IMF-თან დაკავშირებულ სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებს, ესტუმრეთ მის ვებსაიტს http://www.imf.org.

მსოფლიო ბანკის დოკუმენტების სია, რომელიც არ არის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაჩვენებია ცხრილში 2.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

სტრუქტურა და ისტორია

1989 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, როდესაც კომუნისტურმა სისტემამ განიცადა კოლაფსი, საფრანგეთის პრეზიდენტმა მიტერანმა დაიწყო ახალი იდეის განხორციელება. იდეის მიზანი, იყო ჩამოყალიბებულიყო ახალი რეგიონალური მრავალმხრივი განვიტარების ინსტიტუტი რომელიც ხელს შეუწყობდა გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის აღდგენას. 1991 წელს, დაარსდა ერგბ, რომელიც ბაზირებულ იქნა ლონდონში.

ბანკის მიზანია " გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიური განვითარების დაჩქარება საბაზრო ეკონომკისაკენ, რათა პროპაგანდირება გაუწიოს კერძო და საწარმოო ინიციატივას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში,დემოკრატიის,პლურარიზმის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად" (წესდების 1 პუნქტი). უნიკალურია ბანკის პოლიტიკური პირობითობა: ქვეყანას შეუძლია ითხოვოს დახმარება, თუ მასში არის მრავალპარტიული დემოკრატია, კანონმდებლობა და ადამიანის უფლებები დაცულია.

ერგბ მუშაობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 26 ქვეყანაში, რათა განახორციელოს სტრუქტურული და სექტორალური ეკონომიკური რეფორმები, ხელი შეუწყოს კერძო სექტორის განვითარებას, საფინანსო ინსტიტუტების გაძლიერებას. ერგბ-ს განცხადებით ბანკი ხელს უწყობს მხოლოდ გარემოსდაცვითად მისაღებ მდგრად განვითარებას.

თუმცა ამავდროულად ერგბ ერთადერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც აფინანსებს ატომურ ელექტროსადგურებს.

ერგბ პროექტებში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ თანადაფინასების შემთხვევაში.∫კრედიტები სახელმწიფო სექტორში შეზღუდულია მთლიანი კრედიტების 40%-ით, დანარჩენი 60% განკუთვნილია კერძო სექტორისათვის. სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მსგავსად, ერგბ-ს ჰყავს მმართველთა საბჭო უმაღლესი ორგანო, რომელიც იკრიბება წეილწადში ერთხელ რათა განსაზღვროს ბანკის განვიტარების ძირითადი მიმართულებები. ყოველდღიურ ოპერაციებს ახორციელებს 23 აღმასრულებელი დირექტორი. ყველა პოლიტიკა, სტრატეგია, საკრედიტო შეთანხმება წარედგინება აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. ოპერაციის დამტკიცება საბჭოს მიერ რომ ერგბ ღებულობს ვალდებულებას. ხმის მიცემის პროცესში თითოეულ დირექტორს აქცს ხმების რაოდენობა, რომლეიც შეესაბამება წევრი ქვეყნების ხმების რაოდენობას. თუ დირექტორი წარმოადგენს ერთზე მეტ ქვეყანას, მას შეუძლია წარმოადგუნოს თავისი ხმები დამოუკიდებლად.

ერგბ-ს წევრი ქვეყანას აქვს ხელმოწერილი გარკვეულ რაოდენობა აქციებზე, რომელთაგან თავისი წილის 30%-ს იხდიან ევროში, დოლარებში ან იაპონურ იენებში. ∫დანარჩენი ე.წ. წოდებული კაპიტალია, რომელიც წარმოადგენს სარეზერვო ფონდს. ერგბ-ს შეუძლია სესხის აღება საერთაშორისო კომერციული ბაზრიდან და მას აქვს სამი A რეიტინგი.

ერგბ-ს პრეზიდენტი არის ბანკის პერსონალის უფროსი და ახორციელებს მართვას აღმასრულებელი დირექტორების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ბანკის შტატი ვალდებულია ბანკსი საოპერაციო დოკუმენტების მომზადებაზე სექტორალური პოლიტიკისა და ქვეყნის სტრატეგიების თანახმად. 1999 წლის რეორგანიზაციის შედეგად, ჩამოყალიბდა სამი ტერიტორიალური (რუსეთი და ცენტრალური აზია, ცენტრალური ევროპა, სამხრეთ-დასავლეთ ევროპა და კავკასია) და სამი სექტორალური (ინფარსტრუქტურის, საფინანსო ინსტიტუტების, მრეწველობისა და კომერციის) საბანკო დეპარატამენტი. შესაბამისი საბანკო დეპარტამენტები პასუხისმგებელნი არიან შესაბამის სექტორებში პროექტების მომზადებასა და დაფინასებაზე. საბანკო დეპარტამენტის რეორგანიზაცია მიზნად ისახავს ბანკის მეტ დეცენტრალიზაციას, ქვეყნის ოფისების გაძლიერებას, იმ თვალსაზრისით რომ ახლო მომავალში ქვეყნის ოფისი გახდეს პირდაპირ პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე.

ერგბ-სთან არის 1996 წლიდან ფუნქციონირებს გარემოსდაცვით მრჩეველთა საბჭო (ENVAC), რომელიც იკრებება წელიწადში ორჯერ. ეს არის დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭო, რომლის მიზანია ერგბ-ს პრეზიდენტისა და შტატის კონსულტირება გარემოსდაცვით საკითხებში.

ერგბ მსოფლიო ბანკისაგან განსხვავებით აფინანსებს მხოლოდ კონკრეტულ პროექტებს და არა ფართო ყოვლისმომცველ პროგრამებს. ძირითად აქცენტს ის აკეთებს ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის პროექტების დაფინანსებაზე. ერგბ აწარმოებს თავის ოპერაციებს საოპერაციო პოლტიკების საფუძველზე, რომელთაგან საკმაოდ მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი პოლიტიკა და გარემოსდაცვითი პროცედურები, ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა, ენერგოპოლიტიკა.

პროგრამებისა და პროექტების მომზადება დამტკიცებისათვის

ერგბ-ს გარემოსდაცვითი პროცედურებში მკაცრად არის განსაზღვრული საზოგადოების მონაწილეობა, რომელიც ეყრდნობა ორ მთავარ ამოსავალ წერტილს: პროექტზე პასუხისმგებელი კომპანია

- ვალდებულია დაიცვას ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ
- შეასრულოს ერგბ-ს სპეციფიური პროცედურები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ

ერგბ-ს პროგრამები და პროექტები გადიან ექსპერტიზას გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, რომელიც თან გასდევს ბანკის ყველა პროექტს. მიუხედავად, იმისა რომ ხშირად ეს პროცედურები საკმაოდ ფორმალურად სრულდება, არსებობს მთელი რიგი მექანიზმები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია საზოგადოების მონაწილეობის და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებების გარანტირება პროექტში. მას შემდეგ რაც პროექტი განსახილველად შედის ერგბ-სი, გარემოსდაცვითი შეფასების განყოფილება შესაბამის საბანკო დეპარტამენტან ერთად ამზადებს საწყისი განხილვის დოკუმენტს, რომელიც გადაეცემა ოპერაციების კომიტეტს. საწყისი განხილვის დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა დოკუმენტებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი სკრინინგის დოკუმენტაციას, პროექტის კატეგორიას, და სხვა რაც ნათელს ხდის პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამის შემდეგ გარემოსდაცვითი შეაფსების განყოფილება შესაბამის საბანკო განყოფილებასთან ერთად *ამზადებს საბოლოო გარემოსდაცვითი განხილვის დოკუმენტს* საოპერაციო კომიტეტისათვის. საბოლოო განხილვისას, საოპერაციო კომიტეტი იხილავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა გარემოსდაცვით საკითხს ჴდა ღებულობს ინფორმაციას გარემოსდაცვითი განხილვის მემორანდუმიდან საზოგადოებრივი კონსულტაციების სტატუსის შესახებ. ბანკის პოლიტიკის თანახმად, პროექტი შეიზლება დაწუნებულ იქნას თუ არსებობს ფართო მასშტაბის გარემოსდაცითი პრობლემები ან პროექტში არ არის გადაწყვეტილი თუ როგორ უნდა მოევლოს მათ.

იმ შემთხვევაში როდესაც საოპერაციო კომიტეტის წევრები ვერ აღწევენ კონსესუს, პროექტი გადაეცემა აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის თავჯფომარეც ერგბ-ს პრეზიდენტია. ეს კომიტეტი არის საბოლოო განხილვის მექანიზმი, რომელიც განიხილავს პროექტის გარემოსდაცვით ზემოქმედებას, სანამ პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს.

ერგბ-ს პროექტების გარემოსდაცვითი კატეგორიები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია

ერგბ-ს გარემოსდაცვითი პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისად არსებობს პროექტის სამი კატეგორია:

- „A“კატეგორიის ოპერაცია – მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და სრულ საზოგადოების მონაწილეობას. ერგბ-ს აქვს გარემოსდაცვითი პროცედურების დანართი 4 სრულად განსაზღვრავს ამ კატეგორიის პროექტებს (ახალი ან არსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, ახალი ადგილების ათვისება და სხვ). გზშ უნდა იყოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და განხილული
- „B“ კატეგორიის პროექტი – მოითხოვს გარემოსდაცვით ანალიზს, სამთავრობო სექტორის პროექტის გარემოსდაცვითი ანალიზი წარმოადგენს პროექტის საინფორმაციო დოკუმენტის დანართს და ხელმისაწვდომი ერგბ-ს ვებ-საიტიდან და ოფისიდან. ხოლო კერძო სექტორისათვის გარემოსდაცვითი ანალიზის ძირითადი მოანცემები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისატDის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომდე 30 დღით ადრე.
- „C“ კატეგორიის პროექტი – არა აქვს სპეციფიური მოთხოვნები

გარდა ამისა თუ პროექტი მოიცავს საკუთრების ტრანსფერს, ივჯარას ან არსებული ოპერაციების მოდიფიკაციას, შეიძლება მოთხოვნილი იყოს გარემოსდაცვითი აუდიტი “1”, პროექტის კატეგორიისთვის, მაგრამ არა “0” კატეგორიისათვის. გარემოსდაცვითი აუდიტი ტარდება საკონსულტაციო კომპანიის მიერ და ის მოიცავს წარსულ ან არსებულ პრობლემებს, პოტენციურ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკს დაკავშირებულებს პროექტთან. გარემოსდაცვითი აუდიტი არ არის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი დოკუმენტი.

გარემოსდაცვითი პოლიტიკა და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ერგბ-ს გარემოსდაცვითი პროცედურების მიხედვით საზოგადოების მონაწილეობა არის ეფექტური გზა ოპერაციების ხარისხის გაუმჯობესებისა. აქედან, გამომდინარე არის რამოდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი, პროექტის მომზადებაში.

პროექტის კატეგორიზაცია

თუმცა პროექტის კატეგორიზაციის დროს ადგილი არა აქვს საზოგადოებრივ კონსულტაციებს პროექტის კატეგორიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპანიები ელოდებიან წინააღმდეგობას საზოგადოებისაგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, ისინი ცდილობენ დაწიონ გარემოსდაცვითი კატეგორია. მისკატეგორიზაცია ხსირად არ ხდება, მაგრამ არსებობს ამის შემთხვევები ერგბ-ში. ერთ-ერთი გზა არის პროექტის დაყოფა რამდენიმე ნაწილად, იმ იმედით რომ, მას შემდეგ რაც ერგბ დაამტკიცებს პირველ კრედიტს შემდეგი კრედიტები ადვილად დამტკიცდება.

პროექტის შესახებ განცხადების გამოქვეყნება

ყველა პროექტისათვის ერგბ მოითხოვს პროექტის საინფორმაციო დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე. ამავდროულად ერგბ მოითხოვს პროექტის სპონსორისაგან A" კატეგორიის პროექტისათვის მოეთხოვება საზოგადოებისა და არასამთვარობო ორგანიზაციებისათვის პროექტზე ინფორმაციის მიწოდება, სანამ საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესი დაიწყება. ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა ერგბ-ს თვალსაზრისით დამოკიდებული უნდა იყოს ადგილობრივ პოლიტიკურ, იურიდიულ და კულტურულ თავისებურებებზე.

ძალიან ხშირად პროექტის სპონსორები ირწმუნებიან რომ პროექტის შესახებ ინფორამცია იყო გამოქვეყნებული მედიაში, თუმცა ხშირად ეს მიყრუებული გაზეთებია ხოლმე. აუცილებელი მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმის, რომელიც ყველაზე მისაღებია თქვენთვის.

სკოპინგი

სკოპინგი არის კონსულტაციების პროცესი პროექტის სპონსორსა (ან იმ კომპანიას სორის ტომელიც ამზადებს გზშ-ს) და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამთვარობო სააგენტოებს შორის იმ თემებზე რომელიც უნდა იყოს განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში, ასევე საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. იდეალურ შემთხვევაში, პროექტის სპონსორმა უნდა მოიწვიოს ყველა შეაბამის არასამთავრობო ორგანიზაცია (როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნული) რათა მიაწოდოს მათ ინფორმაცია წამოყენებული პროექტის შესახებ, გზშ-ის დოკუმენტაციის შესაძლო შინაარზე ასევე აცნობოს დეტალური სქემა საზოგადოების მონაწილეობის. ასეთი ინფორმაცია უნდა მიწოდებული უნდა იყოს არასამთავრობოებისადმი შეხვედრამდე, რათა მათ შესძლონ თავიანთი კომენტარებისა და მოთხოვნების მომზადება.

მაგრამ ხშირად რეალობა საკმაოდ განსხვავებულია, ძალიან ხშირად პროექტის სპონსორებს ავიწყდებათ დაპატიჟონ ის არასამთავრობოები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში აკრიტიკებენ პროექტს, ან გააგზავნონ მოსაწვევები ერთი ან ორი დღით ადრე. ხშირად ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი შეხვედრამდე ან არ არის ზუსტი, არასამთავრობოებს პატიჟებენ შეხვედრაზე, თუმცა არ საზღვრავენ შეხვედრის სტატუს. ასევე ხშირად არ იხილება საზოგადოების მონაწილეობის პროცესი, შეხვედრის ოქმები და ცვლილებები დოკუმენტაციაში ასევე ხელმიუწვდომელია. (დაწვრილებითი ინფორამციისათვის იხ. დანართი 2.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ან გარემოსდაცვითი ანალიზი

ძალიან ხშირად პროექტის სპონსორი მოელის, რომ აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საზოგადოება, ნაკლებად გამოცდილია თავისი უფლებების დაცვაში და ცდილობენ გამოიყენონ უფრო დაბალი სტანდარტები, ვიდრე დასავლეთში. სამწუხაროდ, ერგბ-ს ოფიციოზი ღებულობს ამ ფაქტს. ყველაზე უფრო დიდი პრობლემა ამ თვალსაზრისით არის დრო და ენის პრობლემა. სამწუხაროდ, ერგბ-ს პოლიტიკა მოითხოვს არა გზშ-ის სრული დოკუმენტაციის გამოქვეყნებას ეროვნულ ენაზე, არამედ მხოლოდ მისი მოკლე შინაარსის. საჭიროა ამ დოკუმენტაციის მოთხოვნა ეროვნულ ენაზე (და არ შეიძლება დათანხმება , თუნდაც რუსულ ვერსიაზე, ვინაიდან ეს არის ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვა).

ერგბ-ს საოპერაციო პოლიტიკის თანახმად ერგბ-ს დაფინანსებული პროექტები უნდა აკმაყოფილდეს

საერთაშორისოდ მიღებულ გარემოსდაცვით სტანდარტებს. სტრუქტურულად, ერგბ-ს პროექტები უნდა თანხვდებოდეს ეროვნულ და ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებს, ხოლო იმ სემთხვევაში თუ ევროკავშირის სტანდარტი არ არსებობს ეროვნულ და მსოფლიო ბანკის სტანდარტებს.

მას შემდეგ გზშ-ს დოკუმენატაცია მომზადებულია, ის უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი შენიშვნების მისაღებად. სახელმწიფო პროექტებისათვის საზოგადოების კონსულტაციის პერიოდი 120 დღეა, ხოლო კერძო კომპანიებისათვის 60 დღე. დამატებით, უნდა იყოს 30 დღიანი პერიოდი გზშ-ს გამოქვეყნებასა და სანამ საოპერაციო კომიტეტის მიიღებს საზოგადოებრივი კონსულტაციის შედეგებს. ეს გადაწყვეტილება აძლევს პროექტის სპონსორებს შეამცირონ საზოგადოებრივი კონსულტაციების პერიოდი 30 დღემდე.

ერგბ-ს ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკის თანახმად გზშ უნდა იყოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი პროექტის ადგილას და მის ახლომდებარეობაში, და პროექტის დამთავრებამდე ეს დოკუმენტაცია მოთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივ დაწესებულებაში. დამატებით, ერგბ ხდის ხელმისაწვდომს გზშ-ს ლონდონისა და იმ ქვეყნის ადგილობრივ ოფისში, სადაც პროექტი ხორციელდება. უფრო მეტიც, ერგბ მოუწოდებს კომპანიებს გამოაქვეყნონ გზშ-ს დოკუმენტაცია ვებ-საიტზე, ამ შემთხვევაში ერგბ-ს ოფიციალურ ვებ-საიტზე იქნება ნაჩვენები ლინკი.

საკმაოდ ხსირად პროექტის სპონსორები ითხოვენ მაღალ გადასახადს გზშ-ს დოკუმენტაციისათვის. ამას არ გააჩნია იურიდიული ბაზა.ასევე მთელ რიგ შემთხვევებში გზშ-ს დოკუმენტაცია ან არ არის სრული ან არ არის მოთავსებული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (შესვლისას საჭიროა პირადობის დამადასტურებელი საბუთის ჩვენება). ასეთ შემთხვევებში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ ერგბ-ს გარემოსდაცვით განყოფილებას და მოითხოვონ კონსულტაციების პერიოდ გაგრძელება. აგრეთვე უნდა მოითხოვონ გზშ-ს დოკუმენტაცია ელექტრონულ ვერსიაში, ყოველგვარი გადასახადის გარეშე (შესაბამის მოთხოვნების შედეგად პროექტის სპონსორები აზლევენ არასამტავრობებს ამ დოკუმენტაციას).

ერგბ-ს გარემოსდაცვითი პოლიტიკა მკაცრად მოითხოვს, რომ " ოპერაციებისათვის, რომელთაც აქვთ ტრანსასაზღვრო ზემოქმედება, მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კონვენციაში "გარემოზე ზემოქმედების შეფასება ტრანსასზღვრო ასპექტში" იყოს დაცული" (ესპოს კონვენცია). ეს კონვენცია აძლევს უფლებას საზოგადოებას მიიღოს მონაწილეობა გზშ-ის პროცესში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროექტი მიმდინარეობს სხვა ქვეყანაში და მას აქვს ტრანსასაზღვრო გავლენა.

ბუნებრივია, პროექტის სპონსორები ცდილობენ თავი დააღწიონ ასეთ მოთხოვნებს, მაგრამ ვინაიდან არსებობს ასეთი პრეცენდენტები ერგბ-ს პროექტებისათვის (მოხოვცეს ატომური ელექტროსადგური, რივნე 4 და ხმელნიცკი 2 ატომური რეაქტორები უკრაინაში), ამ კონვენციის მოთხოვნები მისაღებია იმ შემთხვევაშიც კი თუ ქვეყანას არა აქვს რატიფიცირებული კონვენცია. ამავდროულად, უკრაინის მაგალითმა დაამტკიცა, რომ კონვენციის მოქმედება განიხილება უფრო ფართოდ ვიდრე მეზობელი ქვეყნები.

საზოგადოებრივი განხილვები

არ არსებობს ზუსტი რეცეპტი, როგორ უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივი მოსმენები გარემოსადცვითი პროცედურების ფარგლებში. თუმცა საზოგადოებრივი მოსმენები მიღებული პრაქტიკაა გზშ-ს განსახილველად. დანართში 6-ში აღწერილია კარგი პრაქტიკა.

ერგბ-ს ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა
ხელმისაწვდომი ინფორმაცია

სექტორალური პოლიტიკა – სექტორალური პოლიტიკის სამუშაო ვარიანტი, იქნება გამოქვეყნებული 45 დღით ადრე, საბჭოს შეხვედრამდე. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას შეუძლია შენიშვნების გაგზავნა პოლიტიკის შესახებ. შენიშვნები გადაეცემა აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს. საბოლოო ვერსია ასევე იქნება გამოქვეყნებული ბანკის ვებ-საიტზე.

ქვეყნის სტრატეგია - იქნება გამოქვეყნებული საბჭოზე დამტკიცების შემდეგ.

პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი – მზადდება თითოეული პროექტისათვის. კერძო სექტორის პროექტებისათვის უნდა გამოქვეყნდეს სულ ცოტა 30 დღით ადრე საბჭოს შეხვედრამდე, სახელმწიფო სექტორის 60 დღით ადრე, მას შემდეგ რაც გაიარა საწყისი განხილვა ბანკის მენეჯმენტის მიერ.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება – მზადდება პროექტის სპონსორის მიერ "A" კატეგორიის

პროექტებისათვის. გამოქვეყნება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობასა და ერგბ-ს მოთხოვნებს, 60 დღით ადრე კერძო სექტორის პროექტებისათვის, 120 დღით ადრე სახელმწიფო სექტორის. მოკლე შინანრსი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ეროვნულ ენაზე.

სახელმწიფო სექტორის პროექტები – საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ, საბწოს ანგარიშის მოკლე შინაარსი ცვეულებრივ ხელმისაწვდომია მოთხოვნის შესაბამისად. ბანკს შეუძლია ამოიღოს კონფიდენციალური ან სენზიტიური ინფორმაცია, ან გადაწყვიტოს არ გასცეს დოკუმენტი.

გარდა ამისა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია წლიური ანგარიში და გამოცემები, პრეს-რელიზები, პრეზიდენტისა და მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები.

კონფიდენციალური ინფორმაცია

- ბანკის შიდა დოკუმენტები
- საბჭოს დოკუმენტები, მანამ სანამ საბჭო არ გადაწყვიტავს მათ გამოქვეყნებას
- ინფორმაცია რომელიც შეეხება წევრი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას.
- პრე-კვალიფიკაციის ინფორმაცია შესყიდვების შესაძლებლობაზე, ტენდერებზე, წინადადებებზე.
- პროექტის შეფასების დოკუმენტები, რომლებიც მუშავდება მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის.

ერგბ და ენერგოეფექტურობა

ერგბ მოქმედებს ქვეყნებში, რომლებშიც ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით ძალიან მაღალია ენერგიის მოხმარება და შესაბამისად მაღალია ემისიების რაოდენობა ატმოსფეროში. წელიწადში ეს ქვეყნები მოიხმარენ დაახლოებით 1 მლრდ ტონა პირობით საწვავს, ხოლო ენერგოტევადობა 2-7 ჯერ აღემატება ეუთოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს. აღიარებულია, რომ ნორმალურ ეკონომიკურ პირობებში ამ ქვეყნებს შეუძლიათ 30-40%-ით შეამცირონ ენერგიის მოხმარება. გლობალური თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვან წილად შეამცირებდა ემისიების რაოდენობას. სწორედ ამიტომ ერგბ-ში ენერგოეფექტურობის განყოფილების არსებობა საკმაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება. ბანკმა შეიმუშავა მთელი რიგი საბანკო ოპერაციები, რაც იძლევა იმის სასუალებას, რომ მოამზადოს და დააფინანსოს ენერგოეფექტურობის მცირე პროექტები. გარდა ამისა, ბანკი მიზნად ისახავს, რათა ენერგოეფექტურობის კომპონენტი გახდეს ყველა პროექტის ერთ ერთი შემადგენელი ნაწილი.

ბანკი ხელს უწყობს ენერგოსერვისული კომპანიების შექმნას და კერძო სექტორის მოზიდვას, გააჩნია საკრედიტო საშუამავლო ხაზი, რომელიც იძლევა საშუალებას დაფინანსდეს ენერგოეფექტურობის ამაღლების მცირე პროექტები, ახორციელებს კომპლექსურ პროგრამას ენერგოეფექტურობის ამაღლებისათვის ცენტრალიზებული თბომომარაგების სრულყოფის გზით.


მსოფლიო ბანკის ჯგუფი
საერთაშორისო განვითარების ასოციაცია
Ინტერნატიონალ ეველოპმენტ სსოციატიონ
(I)
I დაარსდა 1960 წელს, როდესაც ნათელი გახდა რომ I ღ -ს კრედიტები ძალიან ძვირია ახალი დამოუკიდებელი განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. I გასცემს კრედიტებს პროცენტის გარეშე (მხოლოდ მცირე განსხვავება) 35-45 წლის გადახდის ვადით და 10 წლიანი
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
Ინტერნატიონალ ანკ ფორ ღეკონსტრუცტიონ ანდ ეველოპმენტ (I ღ)
I ღ დაფუძნდა 1945 წელს და უზრუნველყოფს მთავრობებისათვის პროექტებისა და პროგრამებისათვის თანადაფინანსებისათვის კრედიტებს, 15-20 წლით, საბაზრო პროცენტებით. ბანკი არასოდეს არ აფინანსებს პროექტებს მარტო: მიმღებმა ქვეყანამ უნდა დააფინანსოს პროექტი ნაწილობრივ, ხოლო ბანკი აფინანსებს კრედიტებს სესხით,
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
International Finance Corporation
(IFC)
IFC შეიქმნა 1956 წელს კერძო წარმოების სტიმულირების მიზნით. IBRD-სგან განსხვავებით, ის კრედიტებს აძლევს კერძო საწარმოებს. კრედიტების უზრუნველყოფის გარდა, ის ასევე ახდენს ინვესტირებას კერძო ბიზნესში. მაღალი საიმედოობის გამო IFC ასევე თამაშობს კატალიზატორის როლს კერძო კაპიტალის მოზიდვაში. IFC ფინანსირდება მსოფლიო ბანკის კრედიტებით,
მრავალმხრივი ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო
Multilateral Investment Guarantee Agency
(MIGA)
MIGA მოღვაწეობს 1989 წლიდან. იგი უზრუნველყოფს პოლიტიკურ რისკს (კომერციული რისკის საპირისპიროდ) და აზღვევს უცხოელ ინვესტორებს განვითარებად ქვეყნებსი უცხოური
საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანო საერთაშორისო დისპუტებისათვის
International Center for Settlement of Investment Dispute
(ICSID)
ICSID დაფუძნდა 1966 წელს და მოღვაწეობს, როგორც საარბიტრაჟო ორგანო მთავრობებსა და უცხოურ ინვესტორებს შორის საერთაშორისო

დანართი 2. მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკა, გარემოსა და სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად

შენიშვნა: ყველა საოპერაციო პოლიტიკა, რომელიც ჯერ არ განახლებულა ძალაშია თავდაპირველი სახით.

საოპერაციო პოლიტიკა	ძირითადი მახასიათებლები	მიღების თარიღი
4.01 გარემოზე ზემოქმედების შეფასება	• პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესაძლო შედეგები დგინდება მისი მომზადების ადრეულ სტადიაში. • გზშ-ები და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქების გეგმები, რომლებიც საჭიროა იმ პროექტებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემოზე ან მოითხოვს მკვიდრი მოსახლეობას გადასახლებას. • გზშ-ები უნდა მოიცავდნენ ალტერნატიული სამუშაოების დიზაინისა და ადგილების ანალიზებს ან მითითებული უნდა იყოს მათი არ არსებობა. • მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას და ინფორმაცის ხელმისაწვდომობას ბანკის მიერ მის დამტკიცებამდე	1999 წლის იანვარი
რæ 4.04 ბუნებრივი საარსებო გარემო	• ისეთი პროექტების დაფინანსების აკრძალვა, რომელთაც მოსდევთ 'ბუნებრივი საარსებო გარემოს მნიშვნელოვანი გარდაქმნა, გარდა იმ შემთხვევებისა თუკი არსებობს სხვა ალტერნატიული გზა". • მოითხოვს გარემოსდაცვითი ხარჯებისა და სარგებლის ანალიზებს მოითხოვს გშ-ს შემამსუბუქებელი ზომებით	1995 წლის 15 ოქტომბერი
რæ 4.36 მეტყევეობა	• კრძალავს კომერციული ხე-ტყის ოპერაციების დაფინანსებას ან აღჭურვილობის შეძენას ტროპიკულ და ხელუხლებელ ტყეებში გამოსაყენებლად	გარდაქმნა არ არის დასრულებული
რæ 4.09 პესტიციდების	• მხარს უჭერს გარემოსათვის უვნებელი პესტიციდების მენეჯმენტს, პესტიციდების ინტეგრირებული მენეჯმენტის ჩათვლით, მაგრამ არ კრძალავს ***მავნე*** პესტიციდების გამოყენებასაც • მსესხებელი პასუხისმგებელია პესტიციდების მენეჯმენტზე პროექტის გშ ფარგლებში.	გაედაქმნა დასრულდა
რæ იძულებითი გადასხლება	• გამოიყენება იმ პროექტებში, რომლებიც მოითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლებას. • როგორც პროექტის გშ ნაწილი, მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას გადასახლების დაგეგმისას.	გარდაქმნა არ არის დასრულებული
4.20 მკვიდრი მოსახლეობები	• მიზნად ისახავს სარგებლის მიღებით უზრუნვალყოს მკვიდრი მოსახლეობა ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაციებიდან და გააუქმოს ან შეამსუბუქოს უარყოფითი	არ არის გარდაქმნილი; ბანკი

საოპერაციო პოლიტიკა	ძირითადი მახასიათებლები	მიღების თარიღი
	• ზემოქმედება მკვიდრ მოსახლეობაზე • გამოიყენება იმ პროექტებთან, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ მკვიდრ მოსახლეობაზე ან როდესაც ისინი არიან სამიზნე ჯგუფები • მოითხოვს მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობას 'მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმების" შექმნაში	მკვიდრ მოსახლეობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განიხილავს პოლიტიკის შეცვლის პრიორიტეტს
ræræθ 11.03 კულტურული მემკვიდრეობა	• მიზნად ისახავს იმ ტერიტორიების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას რომელთაც აქვთ პალეოეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური და უნიკალური კულტურული ფასეულობა • განსაზღვრულია მათ დასაცავად და განადგურებისაგან გადასარჩენად. • ხელს არ უწყობს იმ პროექტების დაფინანსებას, რომლებიც ზიანს მიაყენებენ კულტურულ მემკვიდრეობას	გამოიცემა, როგორც OP/BP/GP 4.11
კაშხლების უსაფრთხოება OP/BP	• გამოიყენება დიდ კაშხლებთან (15 მეტრიან ან უფრო მაღალ) მიმართებაში • მოითხოვს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ განხილვას პროექტის განხორციელების პერიოდში • მოითხოვს გშ-ს მომზადებას, ნაგებობებისა და ოპერაციების დეტალურ გეგმებს და პერიოდულ შემოწმებას ბანკის მხრიდან	გარდაქმნა დასრულდა
OP/BP/GB 7.50 პროექტები საერთაშორისო წყალსავალ გზებზე	• გამოიყენება მოსაზღვრე წყალსავალ გზების შემთხვევაში, რომლებიც ესაზღვრებიან ორ ან მეტ ქვეყანას, აგრეთვე იმ სრუტეებთან, ყურეებთან ან არხებთან, რომლებიც რამოდენიმე ქვეყანის შორის არიან მოქცეულნი • გამოიყენება კაშხლების, საირიგაციო სისტემების, წყალდიდობის რეგულირების, სანავიგაციო, წყლის, ჩამდინარე წყლების და სამრეწველო პროექტებთან • მოითხოვს წარდგენას, თანხმობას ქვეყნების მხრიდან, დეტალურ რუქებს და ტექნიკურ-ეკონომიკურ განხილვას	გარდაქმნა დასრულდა
OP/BP 7.60 პროექტები სადაო ტერიტორიებზე	• გამოიყენება იმ პროექტებთან რომლებიც ხორციელდება სადაო ტერიტორიებზე. • უფლებას აძლევს ბანკს გააგრელოს პროექტის განხორციელება მთავრობისაგან თანხმობის მიღების შემთხვევაში. • მოითხოვს ტერიტორიული დავების თავიდანვე დადგენას და ბანკის ყველა დოკუმენტაციაში	დამტკიცდა 1994 წლის ნოემბერს

დანართი 3

მსოფლიო ბანკის დახურული დოკუმენტაცია - ინფორმაცია რომელიც არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის

თუმცა ბანკის ოპერაციული და პოლიტიკური დოკუმენტაციის ნაწილი ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, ზოგიერთი მთავარი დოკუმენტი მაინც ვერ აღწევს მოქალაქეებამდე. ქვემოთ მოცემულია იმ დოკუმენტების სია, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომი არ არიან საზოგადოებისათვის, მაგრამ სასარგებლოა სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, კვლევითი სამუშაოებისათვის და ბანკის სხვა დამკვირვებლებისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილი სია არ არის სრული:

- **ქვეყნის შეფასების განხილვა (CAR):** ბანკი ახდენს ქვეყანაში საკუთარი საკრედიტო პოლიტიკის შესრულების შეფასებას, რომელიც მზადდება ბანკის ოპერაციების შეფასების განყოფილების მიერ. CAR, რომელიც შეფასებას უკეთებს ქვეყნის ყველა ოპერაციას მოცემული პერიოდის განმავლობაში მომზადებულია დირექტორთა საბჭოსათვის. ზოგჯერ CAR საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია ინფოშოფიდან
- **საბჭოს ოქმი:** აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ბანკის ყველა სესხის შესახებ, განსაზღვრავს ბანკის პოლიტიკას, განიხილავს CAS-სა და CAR-ებს, ღებულობს გადაწყვეტილებას ბანკის განყოფილებების, პოლიტიკებისა და ოპერაციების შეფასების შესახებ. ისინი ხვდებიან ერთმანეთს კვირაში ორჯერ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საბჭო შედგება სახელმწიფო მოხელეებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მთავრობას და წევრი ქვეყნების ვალის გადამხდელებისაგან, საბჭოს ქმედებები ნათელი უნდა იყოს საზოგადოებისათვი**ს**.

პოლიტიკის ვარიანტები: საოპერაციო პოლიტიკები განსაზღვრავენ ბანკის წესებს, მათ აქვთ უზარმაზარი ზეგავლენა წევრი ქვეყნების ოპერაციებზე, მთავრობებზე და ხალხზე. უმეტესი საოპერაციო პოლიტიკები იწერება და მტკიცდება საზოგადოებრივი მონაწილეობის გარეშე. ბანკის პოლიტიკის სამუშაო ვარიანტები არ არის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.

საზედამხედველო ანგარიშები: პროექტის სამუშაო ჯგუფს მოეთხოვება თვალყური ადევნენოსა თითოეული კრედიტის სისრულეში მოყვანას. ექსპერტები აფასებენ ოპერაციის განვითარებას, განსაზღვრავენ შესწორებულ ვარიანტებს, ქვეყანაში კრედიტის შესრულების შესახებ ანგარიშს აბარებენ ბანკის მენეჯმენტს. ხშირად, საზედამხედველო ანგარიშები შეიცავს ინფორმაციას ბანკის გარკვეული ოპერაციებით გამოწვეული პრობლემების შესახებ და რეკომენდაციას უწევენ ცვლილებებს.

პროექტის დამთავრების ანგარიშები: პროექტის და კრედიტის ამოწურვის შემდეგ, ბანკის მენეჯერები ამზადებენ ანგარიშს, რომელიც აჯამებს პროექტის შედეგებს. იგი ხშირად მოიცავს ძირითად ინფორმაციას ბანკის, მსესხებელი ან აღმასრულებელი სააგენტოს საქმიანობის შესახებ, პროექტის ეკონომიკურ მდგრადობას, პროექტის სხვადასხვა ასპექტებს– გარემოსდაცვით და სოციალურ ზიანის შემსუბუქებას, ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების გეგმების ჩათვლით. აგრეთვე მთავრობის მიერ კრედის პირობების დაცვის ანგარიშს.

აუდიტორული ანგარიშების შესრულება: აუდიტი მზადდება ბანკის ოპერაციების შეფასების განყოფილების მიერ და ეკონომიკური და ფინანსური კრიტერიუმების გამოყენებით განისაზ-ღვრება შეესაბამება თუ არა პროექტი თავდაპირველ მიზნებს, ანალიზებს და ეკონომიკურ

დანართი 6

ერგბ-ს გარემოსდაცვითი პოლიტიკა და საზოგადოების მონაწილეობა
როგორი უნდა იყოს სკოპინგი (კარგი პრაქტიკა)

1. მოწვეული უნდა იყოს ყველა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაცია –ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო

2.შემდეგი დოკუმენტაცია უნდა იყოს მომზდებული სკოპინგის შეხვედრამდე და გაგზავნილი 14 დღით ადრე:

- გზშ-ს შინაარსი (თავები, რომლებიც იქნება დოკუმენტში) და გარემოსდაცვითი პროცედურების თავი, რომელიც მოიცავს ასევე ალტერნატიულ პროექტებს
- საზოგადოების მონაწილეობის პროცესის აღწერას (როდის ად სად ჩატრადება საზოგადოებრივი მოსმენები, როდის იქნება გამოქვეყნებული გზშ-ს დოკუმენტაცია, ინტერნეტის მისამართი
- ინფორმაცია ერგბ-ს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებზე

3.ხოლო სკოპინგის შეხვედრის შემდეგ შეხვედრის ოქმი უნდა დაეგზავნოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

რა საკითხები უნდა იქნას განხილული სკოპინგის დროს
რჩევები

რჩევა 1. არ განიხილოთ სკოპინგის დროს თვითონ პროექტი ან გზშ-ს დოკუმენტაცია –ამისათვის გამოიყენეთ საზოგადოებრივი მოსმენები, რომლის დროსაც თქვენ შეგეძლებათ აცნობოთ მედიასა და საზოგადოებას პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

რჩევა 2. განიხილეთ ალტერნატივების საკითხი: არჩეულ ალტერნატივებს აქვს აზრი, თუ პროექტის სპონსორმა თავიდანვე აირჩია ალტერნატივები, რომლებიც არაეკონომიური ან/და განუხორციელია

რჩევა 3. საზოგადოებრივი კონსულტაციები: აკმაყოფილებს თუ არა სპონსორების მიერ შემოთავაზებული კონსულტაციების პროცესი თქვენს მოთხოვნებს, ნათელია თუ არა როდის და სად მიიღებთ საჭირო ინფორმაციას?

რჩევა 4. მომავალი კონსულტაციები: ვინ იქნება მთავარი საკონტაქტო პირი შეკითხვაზე პასუხის გასაცემად?

რჩევა5. გზშ-ს დოკუმენტაციის სისრულე: მოიცავს თუ არა გზშ-ს დოკუმენტაციის მასშტაბი ყველა შესაძლო ზემოქმედებას, რაც მოიცავს სოციო-ეკონომიკურ, დეკომისიის, ალტერნატივების ხარჯთაღრიცხვას

საზოგადოებრივი მოსმენები (კარგი პრაქტიკა)

- საზოგადოებრივი მოსმენები უნდა ჩატარდეს ადვილად მისადგომ ადგილას, რაც გააიოლებს მონაწილეობას (საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომობა, მთვარი დღესასწაულების პატივისცემა)
- საზოგადოებრივ მოსმენებამდე პროექტის სპონსორებმა უნდა მოაწყონ შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოსმენების პროცედურის და ორგანიზაციის საკითხის დასადგენად.
- მედიას და ფართო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თავისუფლად დასწრების საშუალება
- პროექტის სპონსორმა უნდა უზრუნველყოს რეკლამა საზოგადოებრივი მოსმენებისათვის ადგილობრივ გაზეთებში, მთავარ ეროვნულ გაზეთში, ეროვნული ტელევიზიისა და რადიოს არხით. რეკლამა საზოგადოებრივი მოსმენების შესახებ უნდა გავრცელდეს 3 კვირით ადრე. დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა დაუკავშირდეს მინიმუმ 6 კვირით ადრე საზოგადოებრივ მოსმენებამდე.

დანართი 7

საკონტაქტო დეტალები:

მსოფლიო ბანკი
ამერიკის შეერთებული შტატები
ქ.1818 H , NW
ვაშინგტონი, D.C. 20433
ტელეფონი: (1-202) 458-5998
ფაქსი: (1-202) 522-3362
ევროპის და ცენტრალური აზიის საგარეო საქმეთა ჯგუფი
ელ.ფოსტა: ecainformation@worldbank.org
www.worldbank.org

საქართველო
ჭონქაძის ქუჩა 18ა
თბილისი 380 007
ტელეფონი: (995-32) 94-22-13
ფაქსი: (995-32) 99-52-88
კონტაქტი: ინგა პაიჭაძე
ელ.ფოსტა: Ipaichadze@worldbank.org
http://www.worldbank.org.ge

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
ჭონქაძის ქუჩა 18ა
ტელეფონი: (995-32) 94-28-98

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
One exchange square
ლონდონი EC2A 2JN
დიდი ბრიტანეთი
ტელ: (4420) 7338 6000
ფაქსი: (4420) 7338 6100
ტელექსი: 8812161 EBRD LG
სვიფტი: EBRDGB21
www.ebrd.com

საქართველო
რეზიდენტი - იურგენ შრამმი
38 ნინო ჩხეიძის ქ.
ტელეფონი: (99532) 92 05 12
ფაქსი: (99532) 93 13 35

საკონტაქტო დეტალები:
მსოფლიო ბანკი

ამერიკის შეერთებული შტატები
ქ.1818 H, NW
ვაშინგტონი, D.C. 20433
ტელეფონი: (1-202) 458-5998
ფაქსი: (1-202) 522-3362
ევროპის და ცენტრალური აზიის
საგარეო საქმეთა ჯგუფი
ელ.ფოსტა: ecainformation@worldbank.org
www.worldbank.org

საქართველო
ჭონქაძის ქუჩა 18ა
თბილისი 380 007
ტელეფონი: (995-32) 94-22-13
ფაქსი: (995-32) 99-52-88
კონტაქტი: ინგა პაიჭაძე
ელ.ფოსტა: Ipaichadze@worldbank.org
http://www.worldbank.org.ge

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
ჭონქაძის ქუჩა 18ა
ტელეფონი: (995-32) 94-28-98

**ევროპის რეკონსტრუქციისა და
განვითარების ბანკი**

One exchange square
ლონდონი EC2A 2JN
დიდი ბრიტანეთი
ტელ: (4420) 7338 6000
ფაქსი: (4420) 7338 6100
ტელექსი: 8812161 EBRD LG
სვიფტი: EBRDGB21
www.ebrd.com

საქართველო
რეზიდენტი - იურგენ შრამმი
38 ნინო ჩხეიძის ქ.
ტელეფონი: (99532) 92 05 12
ფაქსი: (99532) 93 13 35

1995 წელს შეიქმნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება, რომლის მიზანია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მუშაობის მონიტორინგი და ლობირება. ქსელი შედგება 16 არასამთავრობო ორგანიზაციისაგან 10 ქვეყნიდან: ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ესტონეთი, საქართველო, პოლონეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, უკრაინა.

ქსელის მიზნებია:

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის ზეგავლენაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გადაწყვეტილების მოღების პროცესში. არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევა, რათა მათ უკეთ გააკონტროლონ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა, შეაჩერონ პროექტები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ სოციალურ ან გარემოსდაცვით საკითხებზე, მოახდინონ ალტერნატიული ვარიანტების პროპაგანდა.

გარემოსდაცვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ტრანსნაციონალური კომპანიების დესტრუქციული საქმიანობის შეჩერების მიზნით. ქსელი განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობს ორ ძირითად სექტორში: ენერგეტიკა და ტრანსპორტი. თანამშრომლობის შემდეგ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან: მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აგრეთვე გლობალურ გარემოსდაცვით ფონდთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკთან.

CEE bankwatch network

კრატკა 26, პრაღა10, 10000, ჩეხეთი
ელ-ფოსტა: main@bankwatch.org
www.bankwatch.org

მისამართი: ატენის 19, თბილისი
ტელ: (99532) 29 10 06
ფაქსი: (99532) 29 47 86
ელ-ფოსტა: greenalt@wanex.net